წლიური ანგარიში

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი
HUMAN RIGHTS CENTER (HRC)

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2023

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი: ნინო ჩალაძე

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

დიზაინი: ირმა მამასახლისი

2024

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org

• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org

• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org

•სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50,
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge
ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

1. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი 6
2. ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ 7
3. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 9
- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი და მისი თანმდევი პროტესტი 12
4. სტიქიური მოვლენები და ადამიანის უფლებები 14
5. მედიაგარემო და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა 17
- მაუწყებლობის შესახებ კანონი 18
6. საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი 19
7. მართლმსაჯულების სისტემა 22
8. თანასწორობის უფლება 24
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა 25
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 27
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები 29
- რელიგიის თავისუფლება 30
- ეროვნული უმცირესობები 30
- ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებები 32
- იძულებით გადაადგილებული პირები 33
- უსახლკარო პირები 34
- ხანდაზმული პირები 34
9. პენიტენციური დაწესებულებები 35
10. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეები 36
- მიხეილ სააკაშვილის საქმე 36
- ნიკა გვარამიას საქმე 37
- ლაზარე გრიგორიადისის საქმე 38
11. პერსონალური მონაცემების დაცვა 39
12. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 40
13. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 41

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. ანგარიში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე. ანგარიში ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობებსა და შეფასებებს.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისკენ გადადგმული ნაბიჯები და მოიცვას მართლმსაჯულების მექანიზმების ეფექტიანობის მისაღწევად საჭირო საკანონმდებლო და სისტემური ცვლილებები. ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გამოხატული მისწრაფებები, სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების საქმიანობა და ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან საქართველოს განვითარებად ურთიერთობებსა და საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შედეგად წარმოშობილ შესაბამის დათქმებზე. ასევე, წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისა და სტიქიური უბედურებებით დაზარალებული პირების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ანგარიში მოიცავს ადამიანის უფლებათა საკვანძო მიმართულებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, მართლმსაჯულების სისტემა, თანასწორობის უფლება და ა.შ. ანგარიშში მიმოხილულია ბავშვთა, ქალთა, შშმ პირთა, ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა, იძულებით გადაადგილებულთა, უსახლკარო და ხანდაზმული პირების, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა. ასევე, ანგარიში ეხება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევ საქმეებს.

შესავალი

2023 წლის 14 დეკემბერი საქართველოსთვის ისტორიული დღე იყო, რადგან საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა კომისიის შესაბამის რეკომენდაციებს შეასრულებს. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, შესაბამისი რეფორმების სწრაფად გატარება, რათა საქართველომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი მიიღოს.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების მახლობლად 2023 წელსაც დაფიქსირდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან არასათანადო მოპყრობის, უკანონო დაკავებებისა და სიცოცხლის უფლების დარღვევის შემთხვევები. შეშფოთებას იწვევს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზების მახლობლად ჩადენილი დანაშაულები. ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის მცოცავი ოკუპაციის პირობებში,

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეფასების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი 2023 წელს აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა აქციის მონიტორინგს. წლის განმავლობაში, რიგ შემთხვევებში, დაცული იყო შეკრების თავისუფლება, მაგრამ რამდენიმე აქციაზე შემაშფოთებელი და თვალშისაცემი დარღვევებიც გამოიკვეთა.

განსაკუთრებული სამოქალაქო პროტესტი მოჰყვა საქართველოს პარლამენტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტების გამოჩენას. თუმცა, მასშტაბურ საპროტესტო აქციებს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ერთი კანონპროექტის „ჩაგდება“ და მეორის „გაწვევა“ მოჰყვა.

2023 წელს საქართველოს მოქალაქეები არაერთი სტიქიური უბედურების მსხვერპლნი გახდნენ. რაჭაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისა და სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ. ამის მიუხედავად, სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადებით, გარკვეული მიზეზების გამო, გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვები.

პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობების გამო, დიდი გამოწვევების წინაშე დგანან მედიის წარმომადგენლები. მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია, ძალადობის შემთხვევების დაგმობა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა.

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

თანასწორობის უფლების დაცვის კონტექსტში, 2023 წელს ზოგიერთ ჯგუფთან მიმართებაში შეინიშნებოდა პროგრესი, ხოლო ზოგიერთის უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა. შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს ბავშვთა, ქალთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა, იძულებით გადაადგილებულთა, უსახლკარო და ხანდაზმული პირების, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების გაუმჯობესება.

პენიტენციურ დაწესებულებებში წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება კრიმინალური სუბკულტურა და არაფორმალური მმართველობა. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ტიპის მართვის მოდელის შეცვლა.

სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალთა უფლებების, გამოხატვის თავისუფლების, უმცირესობების და სხვა ჯგუფების უფლებების დაცვაში. თუმცა, „უცხოური გავლენის აგენტების” კანონპროექტმა გააჩინა მსგავსი კანონმდებლობის სხვა ფორმებით მიღებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მტრული განწყობის შიში.

1. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი შეიტანა.[1] ამავე წლის ივნისში, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, საქართველოს კი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე შემდგომი წინსვლისთვის 12 რეკომენდაციის შესრულება განესაზღვრა და მას ევროპული პერსპექტივა მიენიჭა. 2023 წლის დეკემბრამდე 12 პირობის შესრულებას უნდა მოეცვა: საქართველოში არსებული პოლარიზაციის დაძლევა; საარჩევნო, სასამართლო და ინსტიტუციური რეფორმები; ანტიკორუფციული ზომების მიღება; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის გაძლიერება; დამოუკიდებელი სახალხო დამცველის არჩევა; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პროაქტიული გამოყენება; დეოლიგარქიზაცია; ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გაძლიერება; თავისუფალი მედიაგარემოს უზრუნველყოფა და ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება.[2]

2023 წლის 2 ნოემბერს, კანდიდატის სტატუსის მოლოდინის პერიოდში, ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივი თხოვნით მიმართეს ევროკომისიას, რომ საქართველოში არსებული პრობლემების მიუხედავად, 12 პრიორიტეტის შესრულების ობიექტური შეფასების პარალელურად, საქართველოს მინიჭებოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.[3] 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის დათქმებით მინიჭების თაობაზე. ევროკომისიის შეფასებით, საქართველოს 12 პრიორიტეტთან დაკავშირებით ჰქონდა გარკვეული წინსვლა, მაგრამ სრულად მხოლოდ 3 პრიორიტეტი შესრულდა. ესენია: მე-9 პრიორიტეტი - გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, მე-11 პრიორიტეტი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გათვალისწინების შესახებ და მე-12 პრიორიტეტი - სახალხო დამცველის არჩევის შესახებ. მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად დარჩა ზოგიერთ რეკომენდაციაზე მეტი მუშაობა და ფართო კონტექსტში ახალი რეკომენდაციების გათვალისწინება. ეს ყოველივე გაერთიანდა 9 დათქმის სახით და დამატებით მოიცვა

[1] რადიო „თავისუფლება“ - გზა კანდიდატობამდე და რას მოიტანს სტატუსი? 15.12.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/nptJQ

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნატო რუბანოვი - ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ? (2022) გვ. 9; იხ. https://shorturl.at/mGQY1 ; Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission; The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status, 17.06.2022 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/vOZ23

[3] ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისიას, 02.11.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/iyFH6

საქართველოს საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის ევროკავშირთან დაახლოება და ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან ბრძოლა.[4]

2023 წლის 14 დეკემბერს ევროკავშირის ლიდერებმა საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს იმ დათქმით, რომ შესრულდებოდა 2023 წლის 8 ნოემბრის კომისიის მიერ გათვალისწინებული შესაბამისი რეკომენდაციები.[5]

ევროკავშირის ელჩმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების დღეს ისტორიული უწოდა. მისი თქმით, ევროკავშირში მკაფიოდ ისმის საქართველოს მოსახლეობის ხმა, ამიტომ დროა პოლიტიკურმა ლიდერებმა აღასრულონ ხალხის ნება და სწრაფად გაატარონ რეფორმები ევროკავშირის წევრობის მისაღებად.[6]

საქართველომ ნათლად აჩვენა, რომ აქვს უნარი, თანმიმდევრულად მოახდინოს ევროპული მისწრაფებების რეალიზება. ამის მაგალითია ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა; საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღება და ა.შ. ეს ყოველივე მყარი საფუძველია ევროპულ გზაზე შემდგომი წინსვლისთვის. დამატებით, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებს.[7] აქედან გამომდინარე, მართალია, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროინტეგრაციის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ პროაქტიული და კონსტრუქციული თანამშრომლობის ფარგლებში, მოხერხდეს ქვეყნის განვითარება და, შესაბამისად, ევროკავშირის წევრობის მიღება.

2. ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2023 წელსაც გრძელდებოდა მოქალაქეთა არასათანადო მოპყრობის, უკანონო დაკავებებისა და სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტები ასევე, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის შეზღუდული იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა.[8]

---

[4] Delegation of the European Union to Georgia - 2023 Communication on EU Enlargement Policy (extract about Georgia), Brussels, 08.11.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/gxy79

[5] European Commission - European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations (DG NEAR); Membership status: candidate country Georgia's EU path (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/pHLN7

[6] ინტერპრესნიუსი. ევროკავშირის ელჩი - გილოცავთ, „საქართველო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არი" - წინ საქართველო, წინ! 15.12.2023; (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/bhoxz

[7] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნატო რუბანოვი - ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და 12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ? (2022) გვ. 31; იხ. https://shorturl.at/mGQY1

[8] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ombudsman.ge, 10.12.2023; (ბოლო ნახვა: 12.12.2023); იხ. https://shorturl.at/ftAD7

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში არღვევს ადამიანის უფლებებს. ამის ერთ-ერთი ტრაგიკული შეხსენება კი ოკუპირებულ გალში 2023 წლის 9 დეკემბერს მოძრაობა „აფხაზეთისთვის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციაა, რომლის თანახმად, ე.წ. მილიციის მიერ საქართველოს მოქალაქის ცემას, მისი გარდაცვალება მოჰყვა.[9] გალის რაიონის მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივების მიმართ მსგავსი უკანონობა არც ისე იშვიათია.[10]

2023 წლის 19 თებერვალს აფხაზეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილმა გააპროტესტა დე ფაქტო რესპუბლიკის რუსეთში სავარაუდო შესვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. მათი თქმით, ამ საკითხზე სპეკულაციებისა და ოფიციალური პირების განცხადებების გავრცელება უპასუხისმგებლობაა.[11]

2023 წელს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზების მახლობლად დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევების სხვადასხვა ფაქტები: უკანონო ბორდერიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვა და საკუთრების უფლების დარღვევები. ასევე, გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები.[12]

2023 წელს 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ე.წ. აგვისტოს ომში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა და მათ მიერ კონტროლირებადმა ძალებმა საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინეს ომის დანაშაულები და დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ. ომის გამო საკუთარი სახლის დატოვება 150 000-მდე პირს მოუწია, რომელთაგან დღემდე დევნილად რჩება 30 000 პირი. სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღიარა რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობა.[13]

შემაშფოთებელი იყო 2023 წლის 6 ნოემბერს სოფელ კირბალის ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის მკვლელობა.[14] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, თამაზ გინტურის მკვლელობა წარსულში საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობებზე გამოვლენილი უმოქმედობის გამოძახილია, პასუხისმგებლობა კი რუსეთის ფედერაციას ეკისრება.[15]

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, 2023 წლის აპრილიდან სექტემბრამდე მოინახულეს გორის, ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტებში საოკუპაციო ხაზთან მდებარე 18 სოფელი. შედეგად, გამოიკვეთა, რომ მცოცავი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, არსებითად იზღუდება

---

[9] formulanews.ge; 10.12.2023; (ბოლო ნახვა: 12.12.2023) იხ. https://shorturl.at/wFHU1

[10] რადიო „თავისუფლება“ - რას ამბობენ სოხუმში თემურ კარბაიას სიკვდილზე? 11.12.2023; (ბოლო ნახვა: 17.12.2023); იხ. https://shorturl.at/nKWX8

[11] რადიო „თავისუფლება“ - აფხაზური საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „რესპუბლიკის სტატუსი განხილვას არ ექვემდებარება“; 19.02.2023; (ბოლო ნახვა: 18.12.203); იხ. https://shorturl.at/fpuLV

[12] ადამიანის უფლებათა ცენტრი, გიორგი კაკუბავა - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, 2023, გვ. 5-6; 12-13. იხ. https://shorturl.at/cjQRS

[13] რადიო „თავისუფლება“ - 15 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებიდან, 07.08.2023, იხ. https://shorturl.at/dehiy

[14] ინტერპრესნიუსის ინფორმაცია - 06.11.2023; (ბოლო ნახვა: 13.12.2023); იხ. https://shorturl.at/aqUW5

[15] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ombudsman.ge, 10.12.2023 (ბოლო ნახვა: 12.12.2023) იხ. https://shorturl.at/ftAD7

მოსახლეობის წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე. ეს კი ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგრადობას. ამიტომ არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, ადგილობრივებს, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდებს, ემიგრაციაში წასვლა უწევთ. ასევე, პრობლემურია სარწყავი და სასმელი წყლის არარსებობა. მნიშვნელოვანია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოს ღირსეული და ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით.[16]

2023 წლის 28 აპრილს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ რუსეთის ფედერაციას, აგვისტოს ომის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოსთვის 130 მილიონამდე ევროს გადახდა დააკისრა. მათ შორის, 115 მილიონი ევრო განისაზღვრა საქართველოს იმ მოქალაქეების არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომლებსაც დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკიდან გამომდინარე, ხელი ეშლებათ, რომ დაბრუნდნენ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.[17]

სამართლიანი კომპენსაციის შესახებ მსჯელობა გამომდინარეობს ევროპული სასამართლოს მიერ 2021 წლის 21 იანვარს სახელმწიფოთაშორის დავაზე საქართველოს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებიდან.[18] აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სექტემბრიდან რუსეთის ფედერაცია გარიცხულია ევროპის საბჭოდან. ამის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული სახელმწიფოთაშორისი დავები პრიორიტეტულად დაასახელა და 2022 წლის 16 სექტემბრამდე მომხდარი საქმეების განხილვა საკუთარ უფლებამოსილებად მიიჩნია.[19]

მეტიც, ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის 20 აპრილს დასაშვებად ცნო საქართველოს მეოთხე სახელმწიფოთაშორისი საჩივარი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. საჩივარი შეეხება ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ქართველი მოსახლეობის შევიწროების, უკანონო დაკავებების, თავდასხმის, წამების, მკვლელობის, დაშინებისა და ამ დანაშაულების გამოძიებისგან თავის შეკავების უკანონო ადმინისტრაციულ პრაქტიკას.[20]

3. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

შეკრების თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი

[16] ადამიანის უფლებათა ცენტრი, გიორგი კაკუბავა, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, 2023, გვ. 5-6; 12-13. იხ. https://shorturl.at/cjQRS

[17] Georgia v. Russia (II) (just satisfaction) [GC], no. 38263/08, 28 April 2023 იხ. https://shorturl.at/fAIT4

[18] Georgia v. Russia (II) [GC], no. 38263/08, 21 January 2021 იხ. https://shorturl.at/mBHMP
ასევე, იხ. „სტრასბურგის სასამართლო: საქართველომ რუსეთს მოუგო 2008 წლის ომთან დაკავშირებული საქმე“, 21.01.2021; იხ. https://shorturl.at/dvFW6

[19] Future processing of applications against the Russian Federation იხ. https://shorturl.at/ksFT9

[20] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: 15 წელი აგვისტოს ომიდან - ტერორისტული რეჟიმის განგრძობადი ზიანი და შედეგები საერთაშორისო სასამართლოებში, 07.08.2023 (ბოლო ნახვა 13.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/538/geo/

მიიღო.[21] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიცია უზრუნველყოფს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას.[22]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2023 წლის 14 დეკემბერს არაკონსტიტუციურად ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა შეკრების/მანიფესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულებას. რიგ შემთხვევებში, როცა შეკრების სპონტანურობის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება ამ ვადაში წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების შესრულება, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ჩანაწერი არ გახდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.[23]

2023 წელს თბილისში სამოქალაქო აქტივისტების, პოლიტიკური პარტიების თუ სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული არაერთი შეკრება გაიმართა. გამოიკვეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რამდენიმე თვალშისაცემი დარღვევაც. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგი გაუწია არაერთ აქციას, რაც შემდგომ აქციების მონიტორინგის შუალედურ ანგარიშშიც აისახა.[24]

აღსანიშნავია 7 მარტის მასშტაბური საპროტესტო აქცია - „არა რუსულ კანონს“ და 8-9 მარტის საპროტესტო აქცია - „არა რუსულ კანონს, გამოდი ღირსების დასაცავად“, სადაც ერთი მხრივ, შსს-ს თანამშრომლებმა აქციის მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების დარღვევით გამოიყენეს სპეციალური საშუალებები, ხოლო, მეორე მხრივ, აქციის ზოგიერთი მონაწილე გასცდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით დაცულ სფეროს.[25]

ასევე, 2 ივნისს თბილისში გაიმართა აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების კრიტიკასა და გამოხატვის თავისუფლების დაცვისკენ მოწოდებას. აქციაზე პოლიციამ თვითნებურად დააკავა პროტესტის შვიდი მონაწილე, რომელთაგან ოთხი უფლებადამცველი იყო. ერთ-ერთ უფლებადამცველს დაკავების დროს ხელში ცარიელი ბანერი ეჭირა. მშვიდობიანი ფორმით ქაღალდის ბანერების ხელში ჭერისთვის აქტივისტების დაკავება არის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა.[26]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დროებითი კონსტრუქციის სახით კარვის დადგმა არის პოლიტიკური გამოხატვის ფორმა, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით.[27] საქართველოს სახალხო დამცველის თქმით, „კარვის განთავსება შეკრების თავისუფლების განუყოფელი

---

[21] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 21

[22] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მ. 17(1)(დ)

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 14.12.2023; ((ბოლო ნახვა 28.12.2023); იხ. https://shorturl.at/ouUX4

[24] ადამიანის უფლებათა ცენტრი, გია ჩხაიძე - აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში; 2023; გვ. 4; იხ. https://shorturl.at/bgrPS

[25] იქვე, გვ.7-10

[26] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო განცხადება; საქართველო: დასრულდეს უსამართლო დევნა და დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება; 22.06.2023 (ბოლო ნახვა: 19.12.2023); იხ.: https://shorturl.at/efnB5

[27] იხ. Frumkin v. Russia, no. 74568/12, §107 6 June 2016; იხ. https://shorturl.at/kvw24

ნაწილია."[28] ამის მიუხედავად, 28 მაისს საპროტესტო აქციის დროს შეინიშნებოდა კარვის განთავსებაში გაუმართლებლად ხელის შეშლა.[29]

2023 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში. ცვლილება მიზნად ისახავს შეკრებებისა და დემონსტრაციების დროს დროებითი ნაგებობების, მათ შორის - კარვების გამოყენების აკრძალვას იმ შემთხვევებში, როცა ის საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ან სხვა პირებს, ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, იწვევს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას ან შეკრების და მანიფესტაციის ჩატარებას არ უკავშირდება.[30]

საკანონმდებლო ცვლილებას პრეზიდენტმა ვეტო დაადო,[31] ის გააკრიტიკა საქართველოს სახალხო დამცველმაც.[32] ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, კანონის ახალი რედაქციით განსაზღვრული საფუძვლებით კარვის გაშლის აკრძალვა ეწინააღმდეგება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას.[33] ასევე, სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა უარყოფითად შეაფასა საკანონმდებლო ცვლილება და აღნიშნა, რომ მასში არ არის ნათლად განსაზღვრული შეკრების თავისუფლების შეზღუდვისთვის გათვალისწინებული საფუძვლები. შესაბამისად, ცვლილებები ვერ აკმაყოფილებს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს.[34]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, აქციებში მონაწილეთა რაოდენობასთან შედარებით გამოიკვეთა პოლიციელთა არაპროპორციული რაოდენობის მობილიზების ტენდენცია. რიგ შემთხვევებში, პოლიციელთა რაოდენობა აქციის მონაწილეთა რაოდენობას მკვეთრად აღემატებოდა. ზოგჯერ კი პირიქით - მცირე რაოდენობის გამო პოლიცია ვერ ახერხებდა საზოგადოებრივი წესრიგისა და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მაგალითად, ბექა გრიგორიადისის მიერ ორგანიზებულ აქციაზე 3 ივნისის ღამეს პოლიციელთა რაოდენობა 3-ჯერ აღემატებოდა აქციაზე მყოფი მონაწილეების

---

[28] სახალხო დამცველი 2023 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება, 02.06.2023; (ბოლო ნახვა:19.12.2023); იხ. https://shorturl.at/xSY23

[29] ადამიანის უფლებათა ცენტრი, გია ჩხაიძე - აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 2023, გვ. 16. იხ. https://shorturl.at/bgrPS; ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრი, მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით; 2023; იხ. https://shorturl.at/flsIR; ასევე, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო განცხადება; პოლიცია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას უკანონოდ ზღუდავს, 31.05.2023 (ბოლო ნახვა: 19.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/509/geo/

[30] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; იხ. https://shorturl.at/fgDHI

[31] ინტერპრესნიუსი - პრეზიდენტმა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს ვეტო დაადო; 17.10.2023; (ბოლო ნახვა: 19.12.2023); იხ. https://shorturl.at/dowH8

[32] სახალხო დამცველის განცხადება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, 04.10.2023 (ბოლო ნახვა: 19.12.2023); იხ. https://shorturl.at/bkyKL

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრი - მონიტორინგის მოკლე ანგარიში შეკრების თავისუფლებით სარგებლობის მიზნით საჯარო სივრცეში კარვის განთავსების ხელშეშლის პრაქტიკასთან დაკავშირებით; 2023; გვ. 5 იხ. https://www.hrc.ge/581/geo/

[34] OSCE/ODIHR, Urgent Opinion On Proposed Amendments To The Law Of Georgia On Assemblies And Demonstrations And To The Administrative Offences Code, Warsaw, 6 November 2023, p. 34; იხ. https://shorturl.at/dzQY2

რაოდენობას. ამის საპირისპიროდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პოლიციელთა არასათანადო რაოდენობა იყო მობილიზებული 2023 წლის 8 ივლისის „პრაიდ ფესტივალის“ მიმდინარეობისას. ასევე, რიგ შემთხვევებში, გამოიკვეთა რომ აქციებზე პოლიციელები სამსახურებრივი უნიფორმისა და შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გარეშე იყვნენ წარმოდგენილნი.[35]

ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშში განმარტებულია[36], რომ საჭიროების გარეშე პოლიციელთა დიდი რაოდენობის მობილიზებამ შესაძლოა აღძრას შიში.[37] მეტიც, პოლიციელების მხრიდან გადაჭარბებულმა ჩარევამ შესაძლოა კონფლიქტის დეესკალაციის ნაცვლად, მისი გამძაფრება გამოიწვიოს.[38] ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საპროტესტო აქციების მშვიდობიანად ჩატარების ორგანიზებაში ჩართული პოლიციელები იყვნენ მარტივად იდენტიფიცირებადი შესაბამისი ფორმითა თუ სხვა ნიშნებით,[39] რაც ხელს შეუწყობს მათი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას.[40]

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი და მისი თანმდევი პროტესტი

საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია საქართველოს პარლამენტში 2023 წლის 14 და 27 თებერვალს დარეგისტრირებულმა ორმა კანონპროექტმა: 1. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“; 2. „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“. 2023 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მიღებას. საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ მხარდაჭერილი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, „უცხოური გავლენის აგენტებად“ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც დაფინანსების ნაწილს უცხოეთიდან იღებენ.[41] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, კანონპროექტი იყო პასუხი იმ ძალადობის, კორუფციის, უკანონობისა და შერჩევითი სამართლის ასობით ფაქტზე, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია სწავლობს და ასაჯაროებს.[42] ასევე, საერთაშორისო და სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედმა

[35] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ, 2023, გვ.1-2; იხ. https://www.hrc.ge/554/geo/ .

[36] იქვე. გვ. 4

[37] European Commission for Democracy through Law (Venice Commission)/ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly, 2nd edition, Strasbourg-Warsaw, 09.07.2010; Study no. 581/2010, para. 187, იხ. https://shorturl.at/ilFQV

[38] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Report on Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (May 2011 – June 2012), 9 November 2012, para. 201, იხ. https://shorturl.at/crv56

[39] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission)/OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, CDL (2008)062, 4 June 2008, p. 35; იხ. https://shorturl.at/boI56

[40] Boyle M., Vullierme J., A Brief Introduction to Policing Public Gatherings: A guide for Practitioners, Council of Europe, 2021, p. 39; იხ. https://shorturl.at/dAHN4

[41] რადიო თავისუფლება - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო; 07.03.2023; (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/eACKV

[42] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება; რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი; 21.02.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/470/geo/

უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა მოუწოდეს საქართველოს პარლამენტს, არ მიეღო ე.წ. აგენტების შესახებ კანონი.[43]

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული პროცესები საზოგადოებრივი პროტესტის პარალელურად მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ 6 მარტს საპარლამენტო უმრავლესობამ კანონპროექტის განხილვის თარიღად 9 მარტი დააანონსა, მაგრამ, მოულოდნელად, 7 მარტის პლენარული სხდომის მიმდინარეობისას მისი განხილვა დაიწყო.[44] ასეთი ფორმით დღის წესრიგის შეცვლამ საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც ფართო მასშტაბის აქციაში გადაიზარდა. კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებამდე, სამოქალაქო პროტესტს მშვიდობიანი ფორმა ჰქონდა და ასევე კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ სამართალდამცველი პირები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რუსთაველის გამზირის საავტომობილო გზის დროულად გადაკეტვას. თუმცა, კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, პარლამენტის გვერდითა შესასვლელიდან, საჭირო გახდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების გამოყვანა, მობილიზდა სპეცდანიშნულების რაზმები, მოეწყო კორდონი და დემონსტრანტებს შეეზღუდათ გადაადგილების შესაძლებლობა.[45] პოლიციამ წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენა წიწაკის სპრეი, რასაც მალევე წყლის ჭავლის გამოყენებაც მოჰყვა.[46] ამის შემდეგ, აქციის ზოგიერთმა მონაწილემ პოლიციელებისკენ ისროლა სხვადასხვა საგნები და რამდენიმე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი.[47] ასევე, აქციის მონაწილეებმა დააზიანეს პარლამენტის შესასვლელებთან არსებული ბარიერები - ლითონის მყარი ფირფიტები. ამგვარად, ზოგიერთი მონაწილის ქმედება გასცდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით დაცული სფეროს ფარგლებს.[48]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 7 და 8-9 მარტის აქციების დროს, გამოიკვეთა სამართალდამცავების მხრიდან ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატებოდა სპეციალური საშუალებების წინასწარი გაფრთხილებისა და ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის გარეშე გამოყენებაში. მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა გასცენ წინასწარი გაფრთხილება და აქციის მონაწილეებს მისცენ დაშლისთვის საჭირო გონივრული დრო. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საშუალებები გამოყენებული იყოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში.[49] გასათვალისწინებელია, ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები,

---

[43] საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება; საერთაშორისო და სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი უფლებადამცველი ორგანიზაციები მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს, არ მიიღოს კანონი აგენტების შესახებ; 17.02.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/469/geo/

[44] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა. 08.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/479/geo/

[45] 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება; 09.03.2023; (ბოლო ნახვა: 18.12.2023); https://www.hrc.ge/481/geo/

[46] ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, 2023 იხ. https://www.hrc.ge/567/geo/

[47] შინაგან საქმეთა სამინისტრო - პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტები, 09.03.2023 (ბოლო ნახვა: 19.12.2023); იხ. ვიდეოკადრები - https://shorturl.at/elmJW. შსს-ს ფეისბუქ-გვერდის პოსტი; 07.03.2023; (ბოლო ნახვა: 19.12.2023); იხ. ვიდეოკადრები - https://shorturl.at/air35

[48] ადამიანის უფლებათა ცენტრი, გია ჩხაიძე =- აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში; 2023; გვ. 7-8; იხ. https://shorturl.at/bgrPS

[49] ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, 2023 იხ. https://www.hrc.ge/567/geo/

რომლის თანახმად, მანიფესტაციის ცალკეული მონაწილის ან მონაწილეების მიერ შეუსაბამო ქცევის გამოვლენის შემთხვევებში, აქცია ავტომატურად არ იძენს ძალადობრივი შეკრების ხასიათს.[50] შესაბამისად, **მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავებმა გამიჯნონ აქციის მშვიდობიანი და არამშვიდობიანი მონაწილეები.**[51] სახალხო დამცველმაც აღნიშნა, რომ აქციის ცალკეული მონაწილეების ძალადობრივი ქმედების შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გატარებულიყო აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები.[52]

მასშტაბური საპროტესტო აქციების შემდეგ, მისასალმებელია ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, პარლამენტმა 10 მარტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო. ასევე, საპარლამენტო უმრავლესობამ უკან გაიწვია „უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი. პარლამენტმა ორივე დოკუმენტი გამოითხოვა ვენეციის კომისიიდანაც.[53]

7-9 მარტის აქციებზე ჯამში 134 პირი დააკავეს. აქედან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით (წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამცველისადმი დაუმორჩილებლობა) დაკავებული იყო 133 პირი, ხოლო პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტზე კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, ერთი პირი.[54] შსს-ს ინფორმაციით, 9 მარტს აქციაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებული ყველა პირი გათავისუფლდა.[55]

4. სტიქიური მოვლენები და ადამიანის უფლებები

საქართველოში გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც კლიმატის ცვლილების თანმდევი პროცესია. 2023 წელს შოვისა და გურიის სტიქიური უბედურებებიც ამის მაგალითია.[56] მხოლოდ ორ მასშტაბურ სტიქიურ მოვლენას რაჭასა და გურიაში 40-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სამოქალაქო ორგანიზაციების შეფასებით, ქვეყანაში ბუნებრივ კატასტროფებთან გასამკლავებლად არაეფექტური სისტემა არსებობს, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და განვითარებას.[57] გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2023 წლის 8

[50] Human Rights Handbook on Policing Assemblies; OSCE/ODIHR, 2016; p. 103; იხ.https://shorturl.at/eno18

[51] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა 08.03.2023; (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/479/geo/

[52] საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება; 13.03.2023; იხ. https://shorturl.at/zQSU1

[53] ინტერპრესნიუსი - პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო, 10.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/tDIQ1

[54] Civil.ge - განახლება: 7-9 მარტის აქციებისას 134 პირი დააკავეს, 09.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/mtuvP

[55] შსს-ს განცხადება, 09.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. https://shorturl.at/ey356

[56] ინტერპრესნიუსი -გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც კლიმატის...; 20.11.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/qzU14

[57] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოვსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ; 02.10.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/557/geo/

აგვისტოს რაჭაში, კერძოდ - შოვში განვითარებული მოვლენების შესახებ წინასწარი დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებთან არის დაკავშირებული ის ფაქტი, რომ მყინვარის ინტენსიურმა დნობამ, მისი კლდეზვავის ჩამოშლამ, ატმოსფერულმა ნალექებმა, მეწყრულ-ეროზიულმა პროცესებმა და გლაციალური ღვარცოფის გავლამ განაპირობა კატასტროფული ხასიათის მოვლენები.[58]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული[59]. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება.[60] შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ეფექტური პრევენციული ზომების განხორციელებასა და ადეკვატურ საგანგებო რეაგირებაზე, რათა დაცული იყოს ადამიანების სიცოცხლის უფლება.[61]

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რაჭაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 240-ე მუხლებით, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას და სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.[62] საოლქო პროკურორის განცხადებით, საქმეზე ჩატარდა 1600-ზე მეტი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, დანიშნულია ეკოლოგიური ექსპერტიზა, ყველა გარდაცვლილის ახლო ნათესავი ცნობილია დაზარალებულად. გამოძიება კი შეისწავლის სტიქიის გამომწვევ მიზეზებს, სამძებრო-სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით უწყებების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, სტიქიის ზონაში არსებული ინფრასტრუქტურის კანონიერებას და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოძიებამ არ დააყენა ონის მუნიციპალიტეტის მერის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, ონის მუნიციპალიტეტს 2022-2023 წლებში არ ჰქონია მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი და არც საქართველოს აქვს კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.[63]

სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადებით, გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები გაჩნდა, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები გამოძიების დაწყებისთანავე აცხადებდნენ, რომ არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები. ხელისუფლების წარმომადგენლები ეჭვქვეშ აყენებდნენ დაზარალებულთა მონათხრობს და თავს „ესხმოდნენ“ მათ.[64] ასევე, წარიმართა ცილისმწამებლური კამპანია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, თეა გოდოლაძის მიმართ, რომელიც შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით აკრიტიკებდა ხელისუფლებას

[58] გარემოს ეროვნული სააგენტო - 3 აგვისტოს რაჭის სტიქიის პირველადი ანგარიში, 2023. იხ. https://shorturl.at/DHOPZ
[59] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; მ. 2(1)
[60] Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom, no. 46477/99, ECHR 2002-II; იხ. https://shorturl.at/vDRSX
[61] Öneryıldız v. Turkey [GC], no. 48939/99, ECHR 2004-XII; იხ. https://shorturl.at/cfgFK
[62] Netgazeti - შოვის ტრაგედიაზე გამოძიება ორი მუხლით დაიწყო; 07.08.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ.: https://shorturl.at/osHO5
[63] მთის ამბების სტატია - მარიტა გუტაშვილმა, რომელსაც შოვში ოჯახის 9 წევრი დაეღუპა, ონის მერია დაარბია; 17.12.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/quAT8
[64] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შოვსა და გურიაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ; 02.10.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/557/geo/

გარემოსდაცვითი საკითხების უგულებელყოფის გამო.[65] ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლების მიერ სტიქიურ უბედურებაზე რეაგირება არ იყო ეფექტური, ან თუკი სახელმწიფო უწყებებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ევარაუდათ მოვლენების განვითარება და განეხორციელებინათ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, მნიშვნელოვანია, ყველა შესაბამის უწყებასა თუ თანამდებობის პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა.[66]

მისასალმებელია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სტიქიით დაზარალებული პირებისთვის ფსიქოლოგიურ დახმარების უზრუნველსაყოფად გამოხატული მზაობა[67] და საქართველოს მთავრობის მიერ შოვში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაზარალებული ოჯახების მხარდასაჭერად 10 მილიონი ლარის გამოყოფა,[68] ასევე, ახალი სახლების მშენებლობისა თუ შესაბამისი კომპენსაციის გაცემის დაპირება.[69]

გარემოსა და კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველოს მიერ აქამდე მიღწეულ პროგრესსა და სამომავლოდ გადასადგმელი ნაბიჯების საჭიროებაზე საუბარია ევროკომისიის მიერ 2023 წლის 8 ნოემბერს გაფართოების შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში. ევროკომისიის შეფასებით, საქართველო ამ სფეროში განვითარების საწყის ეტაპზეა. თუმცა, შეინიშნება პროგრესიც. მაგალითად, აღსანიშნავია, საქართველოს მიერ დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის დამტკიცება, რომელიც სრულად შეესაბამება პარიზის შეთანხმების ძირითად პრინციპებს[70] და მიზნად ისახავს 2050 წლამდე ქვეყნის კლიმატ-ნეიტრალურად გარდაქმნას. ეს კი გულისხმობს, რომ ადამიანების აქტივობა ვერ მოახდენს კლიმატზე უარყოფით ზეგავლენას.[71] რაც შეეხება მომავალი წლის გეგმებს, ევროკომისიის შეფასებით, მნიშვნელოვანია, საქართველომ გარემოსა და კლიმატის დაცვის სექტორში განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები, საქართველოს წყლის შესახებ კანონი შეუსაბამოს ევროკავშირის სტანდარტებს, მიიღოს კლიმატის შესახებ კანონი, რომელიც ეფექტურად აღსრულდება კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით და ა.შ.[72]

---

[65] სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება - მმართველი პარტიის მიერ განსხვავებული აზრის მიუღებლობამ და კრიტიკაზე რეაგირების ფორმებმა საგანგაშო ზღვარს მიაღწია; 23.08.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/542/geo/

[66] ადამიანების სიცოცხლის უფლების დასაცავად - შოვის სტიქიასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება; 09.08.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/myO36

[67] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ფსიქოლოგიური დახმარება შოვის სტიქიით დაზარალებულთათვის, გარდაცვლილთა და დაკარგულთა ოჯახებისთვის, 30.08.2023 (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/ozA34

[68] საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის 2023 წლის ანგარიში, 18.12.2023 (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/kmoDL

[69] 1tv.ge - ირაკლი ღარიბაშვილი - გურიაში, ვისაც სახლი დაეწვა...; 15.09.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/nrzNO

[70] UNDP საქართველო; საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია 2050; 13.07.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023) იხ. https://shorturl.at/djoAO

[71] საქართველოს მთავრობა; საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია; 2021; გვ.6; იხ. https://shorturl.at/kBLNW

[72] European Commission; Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 99-100; იხ. https://shorturl.at/gijqE

5. მედიაგარემო და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

მედიის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული ნაწილია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით არის დაცული. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები.[73]

2023 წელს შემაშფოთებელი იყო მედიის წარმომადგენლების პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები.

მართალია, დასჯადია ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა,[74] მაგრამ მაინც დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, რომელიც უკავშირდებოდა ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლას. მაგალითად, 13 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია TV „პირველის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსის ავტომობილის ძარცვის საქმეზე. ავტომობილიდან მხოლოდ ის ნივთები იყო წაღებული, რაც ჟურნალისტური საქმიანობისთვის იყო მნიშვნელოვანი.[75] ასევე გახშირდა მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის შემთხვევები. ამის ნათელი მაგალითი იყო თავდასხმა ტელეკომპანია „ფორმულას" ერთ-ერთ დამფუძნებელზე.[76] ძალადობის მსგავს ფაქტებს შესაძლოა ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გამოხატვის თავისუფლებაზე.[77] შედეგად კი, დაფიქსირდეს მედიის წარმომადგენლების პროფესიიდან და ქვეყნიდან კიდევ უფრო მეტი გადინების შემთხვევა.[78]

ევროკომისიის შეფასებით, საქართველოში მედიაგარემო არის პოლარიზებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტელევიზიების უმრავლესობა გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებთანაა აფილირებული. მართალია, საქართველოს მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით, მაგრამ, ერთი მხრივ, ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკური წარმომადგენლების მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან უწყვეტმა თავდასხმებმა ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე, შექმნა მტრული მედიაგარემო. ასევე, **პრობლემურია გამოთხოვილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საჯარო უწყებებისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გადაწყვეტილებების გვიან მიღებისა თუ ინფორმაციის**

[73] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; მ. 10

[74] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; მ. 154

[75] „ფორმულას“ ინფორმაცია ნოდარ მელაძის ავტომობილის ძარცვის საქმეზე, 18.07;2023 (ბოლო ნახვა 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/cepBL

[76] ინტერპრესნიუსი - მიშა მშვილდაძის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება წარუდგინა, 29.06.2023 (ბოლო ნახვა 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/sV025

[77] ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება - მედიის წარმომადგენლების პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ტენდენცია, 11.08.2023 (ბოლო ნახვა 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/540/geo/

[78] რადიო „თავისუფლება“ - ჩამოვედი და ჩავბარდი - რატომ მიდიან ქართველი ჟურნალისტები ემიგრაციაში? 03.05.2023 (ბოლო ნახვა 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/BLZ14

გაცემაზე უარის თქმის გახშირებული ტენდენციები.[79] მეტიც, შეინიშნება სასამართლო პროცესების წარმოება კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლების მფლობელთა წინააღმდეგ. ხოლო, სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებები უარყოფით ზეგავლენას ახდენს კრიტიკულად განწყობილი მედიების გამოხატვის თავისუფლებაზე.[80]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, უსაფრთხო მედიაგარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან თითოეულ შემთხვევაზე მოხდეს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება, ძალადობის ყველა შემთხვევის საჯაროდ დაგმობა და გამოხატვის თავისუფლებისა თუ ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერა.[81]

- მაუწყებლობის შესახებ კანონი

2023 წლის 19 ოქტომბერს პარლამენტმა დაჩქარებული წესით, მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე[82], რომელსაც 3 ნოემბერს მოაწერა ხელი საქართველოს პრეზიდენტმა.[83] საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, უხამსობის, სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების შემთხვევებში, შესაძლებელი გახდა მაუწყებლობის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომისიაში გასაჩივრება.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაიზარდა კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებები. თუმცა, **ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის 2023 წლის სამართლებრივი დასკვნის მიხედვით, კომუნიკაციების კომისია დამოუკიდებელი ორგანო არ არის[84]**, რაც თავისთავად ზრდის კომისიის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის რისკებს.

საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედიამომსახურების დირექტივას (AVMSD).[85] თუმცა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადებით, „უხამსობის“ ცნება ამ დირექტივის ნაწილი არ არის და, შესაბამისად, არ არსებობდა მისი რეგულირების საჭიროება.[86] ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნორმები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს, უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი. ხოლო, ზნეობრივი

---

[79] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023, გვ. 33. იხ. https://shorturl.at/gijqE

[80] იქვე, გვ. 6

[81] ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება - მედიის წარმომადგენლების პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ტენდენცია; 11.08.2023; (ბოლო ნახვა 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/540/geo/

[82] საქართველოს პარლამენტი - პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილება მესამე მოსმენით მიიღო, 19.10.2023 (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/gjrL4

[83] ინტერპრესნიუსი - პრეზიდენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს ხელი მოაწერა; 03.11.2023; (ბოლო ნახვა 20.12.2023) იხ. https://shorturl.at/avzFN

[84] ევროპის საბჭო - ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი (2023), გვ. 10; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ.: https://shorturl.at/dvxDH

[85] Directive (EU) 2018/1808 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018; იხ. https://shorturl.at/otPZ2

[86] რადიო „თავისუფლება“ - ევროკავშირის წარმომადგენლობა აცხადებს, რომ „უხამსობის“ რეგულირება ევროდირექტივის ნაწილი არ არის, 27.10.2023 (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/lqAC3

ნორმების განსჯას გამყინავი ეფექტი აქვს მაუწყებლის და, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლებაზე.[87] ამ ყოველივეს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიას შესაძლოა შერჩევითი დამოკიდებულება ჰქონდეს სხვადასხვა მედიასაშუალებასთან მიმართებაში[88].

აქვე აღსანიშნავია, რომ მისასალმებელია მაუწყებლობის შესახებ კანონის ევროდირექტივასთან შესაბამისობის მცდელობა. თუმცა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, საქართველოს კომუნიკაციების კომისია გახდეს დამოუკიდებელი ორგანო, რისთვისაც საჭიროა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის, კომისიის წევრების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესების იმგვარად შეცვლა, რომ გადაწყვეტილებებს არ ჰქონდეს პოლიტიკური ხასიათი. საკანონმდებლო ნორმები უნდა გახდეს მეტად განჭვრეტადი, რათა თავად მედია აცნობიერებდეს მისთვის დადგენილ საზღვრებს. ხოლო, რაც შეეხება მედიის მართვას, საქართველოს შემთხვევაში, როგორც ეს ევროპის საბჭოს დირექტორატის დასკვნაშია აღნიშნული, უმჯობესია, უხამსობასა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული რეგულაციები მოექცეს თანარეგულირების მექანიზმის ფარგლებში და ამ პროცესში გადაწყვეტილებების მიღება დაფუძნებული იყოს თანამშრომლობის პრინციპზე.[89]

6. საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი

საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ 2022 წლის ივნისში განსაზღვრულ 12 პრიორიტეტს შორის, პირველი პრიორიტეტი საქართველოში არსებული პოლარიზაციის დაძლევა იყო. თუმცა, პოლიტიკური პოლარიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით.

პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობა სულ უფრო მწვავდება. პრეზიდენტმა რამდენჯერმე დაადო ვეტო სხვადასხვა კანონს, რაც რიგ შემთხვევებში პარლამენტმა დაძლია.[90] პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება მთავრობას და სალომე ზურაბიშვილს შორის არსებული დაძაბულობის ლოგიკური დასასრული იყო. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო დავის პირველი შემთხვევა. საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 7 ივნისსაც მიმართა, რითაც საქართველოს ელჩების და დიპლომატიური წარმომადგენლობის

[87] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.7; იხ. https://shorturl.at/jptDK

[88] Gnomon Wise, ქუტიძე, დავით, მალხაზ რეხვიაშვილი; სამაუწყებლო მედიისთვის ფინანსურად და შინაარსობრივად დამაზიანებელი რეგულაციები და მათი ალტერნატივები; 2023; გვ. 17-18. ; იხ. https://shorturl.at/jqwQX; ასევე, GDI-ს განცხადება კომუნიკაციების კომისიისთვის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით; 19.10.2023; (ბოლო ნახვა 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/sFY59 (ბოლო ნახვა 20.12.2023)

[89] ევროპის საბჭო - ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი; (2023); გვ. 31 ; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ.: https://shorturl.at/dvxDH

[90] European Commission; Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 5; იხ. https://shorturl.at/gijqE

ხელმძღვანელების დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხის განმარტება მოითხოვა.[91] 2023 წლის 11 იანვარს მთავრობამ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელი გამოიხმო,[92] მაგრამ ამის თაობაზე დამატებითი განმარტება არ გაუკეთებია.[93]

სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მან მთავრობის თანხმობის გარეშე, 2023 წლის 31 აგვისტოს, 1 და 6 სექტემბერს განახორციელა საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტები. 14 სექტემბერს საპარლამენტო უმრავლესობის 80-მა დეპუტატმა საკონსტიტუციო წარდგინება შეიტანა სასამართლოში იმპიჩმენტის თაობაზე, სადაც საუბარი იყო პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის განაწესის დარღვევაზე.[94]

2019 წლის იანვრიდან 2023 წლის 16 აგვისტომდე საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობას საგარეო ვიზიტის განხორციელების თხოვნით 79-ჯერ მიმართა. 2023 წლის 28 აპრილამდე, ერთის გარდა, ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თუმცა, ამ თარიღის შემდეგ, ყველა მოთხოვნაზე, კერძოდ თერთმეტიდან თერთმეტივე მოთხოვნაზე პრეზიდენტმა უარი მიიღო.[95] შესაბამისად, პრეზიდენტის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქტობრივად იძულებული გახდა მთავრობის თანხმობის გარეშე გაეგრძელებინა და დაეგეგმა ვიზიტები სხვადასხვა ქვეყანაში. ამასთან, პრეზიდენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის 52-ე მუხლი პრეზიდენტს ავალდებულებს, მთავრობის თანხმობა ჰქონდეს მხოლოდ ისეთ საგარეო ურთიერთობებში, რომელშიც ცვლის ან გამოხატავს მთავრობის პოზიციას“. მოცემულ შემთხვევაში, პრეზიდენტის ვიზიტები დაკავშირებული იყო ევროკავშირთან, შესაბამისად, ამ პროცესში ის მთავრობის გაცხადებულ პოლიტიკას უჭერდა მხარს და არ ცვლიდა მთავრობის მიერ გამოხატულ პოზიციას.[96]

სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადებით, პრეზიდენტის იმპიჩმენტი იმ მიზეზით დაიწყო, რომ ის საერთაშორისო ვიზიტების ფარგლებში, ევროკავშირის ლიდერებს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღების საჭიროებაში არწმუნებდა. ეს კი ცხადყოფს მთავრობის მიერ პრეზიდენტისთვის, როგორც კონსტიტუციური ორგანოსთვის საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის აღსრულებაში ხელის შეშლას.[97] კერძოდ, საქართველოს

---

[91] რადიო „თავისუფლება“ - მთავრობამ პრეზიდენტთან ელჩების დანიშვნაზე უფლებების გასამიჯნად საკონსტიტუციოს მიმართა, 07.06.2022 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/rzPQ8

[92] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, განჩინება: 06.02.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/osAY6

[93] Netgazeti - მთავრობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სარჩელი უკან გაიხმო, 07.02.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/bdGUW

[94] რადიო „თავისუფლება“ - სასამართლომ სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუციის დარღვევა დაუდგინა, 16.10.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/rvRU1

[95] IDFI - საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის ისტორიული და დაუსაბუთებელი პროცესი (სამართლებრივი შეფასება), 03.10.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/aghmD

[96] რადიო „თავისუფლება“ - დაარღვია პრეზიდენტმა კონსტიტუცია? - რა არგუმენტებით განიხილეს იმპიჩმენტის საკითხი საკონსტიტუციოში, 03.10.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/tUWYZ

[97] ღია საზოგადოების ფონდი - „ქართული ოცნება“ იმპიჩმენტის გზით ევროინტეგრაციის პროცესს აზიანებს, 04.09.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/bhqt3

კონსტიტუცია ითვალისწინებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, რისთვისაც კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.[98]

16 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ევროკავშირის ქვეყნებში მთავრობის თანხმობის გარეშე მოგზაურობით, ქვეყნის კონსტიტუცია დაარღვია. ამ გადაწყვეტილებას პლენუმის ცხრა წევრიდან ექვსმა დაუჭირა მხარი. სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში განმარტებული იყო, რომ „კონსტიტუციის ერთი ნორმით დაწესებული დანაწესის დარღვევა ვერ გამართლდებოდა კონსტიტუციის მეორე ნორმის დაცვის საბაბით, მათ შორის, კეთილი განზრახვის მოტივაციის მოშველიებით... საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პრეზიდენტის ფიციც, რომელიც ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა დადო, ავალდებულებდა მას საქართველოს კონსტიტუციის დაცვას. სასამართლომ განმარტა, რომ პრეზიდენტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობის თანხმობის საჭიროება, რაც არაერთი გარემოებით მტკიცდებოდა და, ამასთანავე, ემყარებოდა გონივრულ პრეზუმფციას, რომ იგი გარკვეული იყო/უნდა ყოფილიყო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში".[99]

საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლე არ დაეთანხმა საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას და წარმოადგინა განსხვავებული აზრი, რომელშიც განმარტებულია, რომ „არც წარდგინების ავტორები და არც საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის ავტორი მოსამართლეები არ მიუთითებენ, რომ პრეზიდენტის მიერ სადავო ვიზიტებმა ან/და მის ფარგლებში გამოთქმულმა მოსაზრებებმა რაიმე ფორმით ზიანი მიაყენა ან ხელი შეუშალა საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას... **საქმეზე წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობისთვის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელშეშლის ფაქტს.**“ აქედან გამომდინარე, მათი პოზიციით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 6 მოსამართლის განმარტება პრეზიდენტის კონსტიტუციურ როლსა და დანიშნულებასთან დაკავშირებით არსებითად არასწორია.[100]

18 ოქტომბერს ჩატარდა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის კენჭისყრა, მაგრამ პარლამენტში ვერ მოგროვდა 100 დეპუტატი, რაც კენჭისყრისთვის მინიმალური რაოდენობა იყო. შესაბამისად სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტი არ შედგა.[101]

---

[98] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 78

[99] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი, 16.10.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/qrwx0

[100] საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო - პრეზიდენტის ვერშემდგარი იმპიჩმენტი, 25.10.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/npwFI

[101] რადიო „თავისუფლება“ - პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ შედგა, 18.10.2023 (ბოლო ნახვა: 24.12.2023); იხ. https://shorturl.at/bpAP4;

7. მართლმსაჯულების სისტემა

ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი მართლმსაჯულების სისტემურ რეფორმას და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ეხებოდა. ასევე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგშიც აქცენტი მართლმსაჯულების რეფორმის თაობაზეა გაკეთებული.

2023 წლის 5 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კორუფციულ გარიგებაში ჩართულობის გამო ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური სანქციები დაუწესა საქართველოს მოქმედ და ყოფილ 4 მოსამართლეს: მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ვალერიან ცერცვაძესა და ირაკლი შენგელიას. განცხადების თანახმად, მათ „ბოროტად გამოიყენეს თანამდებობა როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითაც ზიანი მიაყენეს სამართლის უზენაესობასა და საზოგადოების ნდობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ.“ სანქცია შეეხო არა მხოლოდ მოსამართლეებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც. საქართველოში აშშ-ის ელჩის განმარტებით, სანქცირების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით.[102] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ დადებითად გამოეხმაურა ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ ქართული მართლმსაჯულების სისტემის მთავარი გამოწვევა კლანური მმართველობაა. კლანი კი პოლიტიკური ინტერესების მქონე საქმეებზე გადაწყვეტილებას იღებს ვიწრო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და არა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება, გავლენიანი მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებას, ეს ფაქტი ადასტურებს, თუ რამდენად მწვავეა ქართულ მართლმსაჯულებაში არაფორმალური გავლენებისა და კლანურობის პრობლემები.[103]

2023 წლის 14 მარტს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის მოსაზრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით. დასკვნაში კრიტიკულად იყო შეფასებული რიგი საკითხები, მათ შორის: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კვალიფიკაციის; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ნომინირების; მოსამართლეთა მივლინების; დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების; დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების პროცედურების და სხვათა შესახებ.[104] კომისიამ გაიზიარა სამოქალაქო სექტორის პოზიცია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პლურალიზმის იდეა გულისხმობს არა მხოლოდ ჯგუფში არამოსამართლე წევრების ყოფნას, არამედ საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათთვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას. ამისათვის მნიშვნელოვანია, არამოსამართლე წევრთა საბჭოში ეფექტური მონაწილეობის გარანტიების შექმნა.[105] მართლმსაჯულების

[102] რადიო „თავისუფლება“ - აშშ-მა საქართველოს 4 მოსამართლეს სანქციები დაუწესა, 05.04.2023 (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://shorturl.at/agsB2

[103] კოალიცია ეხმიანება მოსამართლეებისთვის სანქციების დაკისრებას, 07.04.2023 (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/492/geo/

[104] European Commission For Democracy Through Law; Follow-up Opinion to Four Previous Opinions Concerning The Organic Law on Common Court; Strasbourg, 14 March 2023; იხ. https://shorturl.at/ajyX0

[105] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ - ვენეციის კომისიის დასკვნის შეფასება, 23.03.2023 (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/490/geo/

სისტემის რეფორმის კონტექსტში, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ რეკომენდაციები შეეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმას, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ორმაგი ⅔-ის წესით მიღებას; ადმინისტრაციული თანამდებობებისა და საბჭოს წევრობის ერთმანეთთან შეუთავსებლობას; მოსამართლეთა მივლინებისა თუ დისციპლინირების წესის რეფორმას და ა.შ.[106] კოალიციამ პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, ოქტომბერში განაცხადა, რომ „როგორც 2023 წლის ივნისის კანონი, ასევე ამავე წლის სექტემბრის ცვლილებები სრულად ვერ პასუხობს კომისიის რეკომენდაციებს მოსამართლეთა მივლინების, დისციპლინირების, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებების სავალდებულოობის და სხვა საკითხების შესახებ.“[107]

ევროკომისიის 2023 წლის ნოემბრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმები შეეხო სასამართლოს ხელმისაწვდომობას, მოსამართლეთა დასანიშნად შესაბამისი დასაბუთების შემოღებას და უზენაესი მოსამართლეების შერჩევის პროცესში, მათთვის მინიმუმ ათწლიანი პროფესიული გამოცდილების მოთხოვნის დაწესებას. საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის ივნისში მიიღო ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ კანონში, ხოლო 2023 წლის სექტემბერში შეიმუშავა დამატებითი ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა ვენეციის კომისიის ზოგიერთ რეკომენდაციას, მაგალითად, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების შეზღუდვის და მათთვის უფლებამოსილების შეჩერების ნაწილთან დაკავშირებით.[108]

თუმცა, პარლამენტმა არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის 2023 წლის მარტსა და ოქტომბერში გამოცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. უფრო კონკრეტულად, არ შესრულდა რეკომენდაციები უზენაეს სასამართლოსთან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის საჭიროებასთან დაკავშირებით. **მნიშვნელოვანია, უფრო ვრცელი რეფორმების გატარება სასამართლოსა და პროკურატურის, განსაკუთრებით კი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით.** ასევე, მნიშვნელოვანია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა შეეხოს საბჭოს წევრების მანდატს, მოსამართლეების მათი თანხმობის გარეშე გადაყვანას და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გასაჩივრების ეფექტური უფლების უზრუნველყოფას.[109]

2023 წლის ნოემბერში კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ გამოეხმაურა 2023 წლის ნოემბერში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გიორგაძეს უარი ეთქვა უვადო მოსამართლედ დანიშვნაზე. კოალიციის

---

[106] კოალიცია ეხმიანება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს, 23.06.2023 (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/516/geo/

[107] კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ კიდევ ერთ ფასადურ პროექტს და ვენეციის კომისიის დასკვნას ეხმიანება, 17.10.2023 (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/565/geo/

[108] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 5; იხ. https://shorturl.at/gijqE

[109] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 10, 20, 21; იხ. https://shorturl.at/gijqE

განცხადებით, მოსამართლე აკრიტიკებდა 2021 წლის დეკემბერში საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში 2021 წლის 30 დეკემბერს შეტანილ ცვლილებებს, რომელიც გავლენიანი მოსამართლეების ინტერესებზე იყო მორგებული. ასევე, ნინო გიორგაძე გამოირჩეოდა პროგრესული გადაწყვეტილებების მიღებით. ეს ყოველივე „ქმნის ეჭვს, რომ ნინო გიორგაძემ საქმიანობის პროცესში დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გამოავლინა, რაც საბოლოოდ მისი დასჯის და სისტემიდან განდევნის საფუძველი გახდა.“[110]

8. თანასწორობის უფლება

თანასწორობის უფლების დასაცავად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. საქართველოს აქვს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროკავშირის კანონმდებლობას. თუმცა, მნიშვნელოვანია, მისი აღსრულების არსებითად გაუმჯობესება.[111]

2023 წელს საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ ზოგიერთ ჯგუფთან მიმართებაში შეინიშნებოდა გარკვეული პროგრესი, მაგრამ ზოგადი ფონი კვლავ კრიტიკულად რჩება. თანასწორობის უფლების დაცვის კონტექსტში მნიშვნელოვანია მსჯელობა წლის განმავლობაში ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტ+ თემის წარმომადგენლების, თუ არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები არ ასახულა სახელმწიფო პროგრამებში. ასევე, შეინიშნებოდა ხელისუფლების მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულებისგან თავის შეკავება, რამაც ხელი შეუწყო დისკრიმინაციის გაღვივებას.

დისკრიმინაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს მიეკუთვნება დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით.[112] მნიშვნელოვანია, რომ ყველა დამამძიმებელი გარემოება არამხოლოდ თეორიულად აისახოს ქართულ კანონმდებლობაში, არამედ პრაქტიკაშიც ეფექტიანად გამოიყენოს სასამართლომ.[113] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ხელისუფლება ვალდებულია გამოძიების ეტაპზე გაარკვიოს იყო თუ არა დანაშაული სიძულვილით მოტივირებული.[114] წინააღმდეგ შემთხვევაში,

---

[110] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ - სასამართლო სისტემიდან მოსამართლეების დევნა გრძელდება, 06.11.2023 (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/571/geo/

[111] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 37; იხ. https://shorturl.at/gijqE

[112] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 53[1](1)

[113] ევროპის საბჭო - GREVIO-ს შეფასების ანგარიში, 2022, გვ. 69 იხ. https://shorturl.at/atWY7

[114] Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98 and 43579/98, § 160, ECHR 2005-VII იხ. https://shorturl.at/zNQX5

დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში არსებული დისკრიმინაციის აკრძალვის მუხლი.[115]

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან, მე-9 პრიორიტეტის სახით, საქართველოს ევალებოდა გენდერული თანასწორობის ზრდა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება. მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში მიიღო ცვლილებები, **საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ,** სავალდებულო გახდა კანონპროექტების გენდერზე გავლენის შემოწმება, გაუქმდა სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობისთვის მანამდე არსებული „მსხვერპლის სტატუსის" წინაპირობა და ა.შ. გატარებულ ცვლილებებს მხარი დაუჭირეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმაც[116].

მიუხედავად დადებითი საკანონმდებლო ცვლილებებისა, პრობლემას წარმოადგენს კანონმდებლობის აღსრულება და ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა. საქართველოში 2023 წლის 6 თვის მონაცემებით, დაფიქსირებულია 13 ქალის მკვლელობის შემთხვევა, საიდანაც 7-ში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა.[117] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო რეგულირებასთან ერთად, პრობლემებთან გასამკლავებლად, სოციალურ-ფსიქოლოგიური მიდგომების დამკვიდრება და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა.[118] ასევე, მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში გაიზარდოს ქალთა როლი, მათ შორის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში.[119]

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) მიხედვით, ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე სექსუალური ხასიათის ქმედება შესაძლოა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად. „თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით."[120] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კონვენციის 36-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით აისახოს ნებაყოფლობით გაცემული თანხმობის ცნება, რითაც კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა

---

[115] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ.14

[116] სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი კვლევა „კანდიდატის სტატუსმეტრი" - ევროკავშირის 12 პირობის შესრულების მდგომარეობა, 2023, გვ. 35; იხ. https://shorturl.at/cnIPQ

[117] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; 10.12.2023; (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/gAT19

[118] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები, 2023; გვ. 6; იხ. https://www.hrc.ge/572/geo/

[119] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 38; იხ. https://shorturl.at/gijqE

[120] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია", მ. 36

საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან.[121] მითუმეტეს მაშინ, როცა 2020 წლის გაეროს განვითარების პროგრამის კვლევის მიხედვით საქართველოში გამოკითხული ქალების 42%-ს და მამაკაცების 50%-ს გაუპატიურებად არ მიაჩნია შემთხვევა, როცა მსხვერპლი ჩხუბით არ გამოხატავს ფიზიკურ წინააღმდეგობას.[122]

აღსანიშნავია, რომ ციფრული ძალადობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია და ის განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებზე[123]. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, საქართველოშიც მომრავლდა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულები, განსაკუთრებით კი, ქალთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში, მამაკაცი აშანტაჟებდა ქალს, რომელსაც ელექტრონულად დაუმონტაჟა „სახელის გამტეხი“ სურათები.[124] ონლაინ ძალადობა ასახავს გენდერულ უთანასწორობას. გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ონლაინ ძალადობის ახალი და მზარდი ფორმების პრევენციისთვის თითოეული ქვეყნის ხელისუფლებამ მეტი ძალისხმევა უნდა გაწიოს.[125]

მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი ქორწინება დასჯადია საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო ამავე ქმედების ჩადენა არასრულწლოვანთან დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, ზოგიერთ თემში ჯერ კიდევ მისაღებია ამ დანაშაულის ჩადენა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეში, სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გოგო წინასწარი შეთანხმებით სამმა სრულწლოვანმა პირმა მოიტაცა იმ იმედით, რომ თემი მას კაცთან ქორწინებას აიძულებდა.[126] 2023 წელს კი არაეფექტიანი კანონმდებლობის შემაშფოთებელი მაგალითი იყო მოტაცებული და მოკლული 14 წლის აითაჯის საქმე.[127] არსებული კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. ასევე, საჭიროა სტამბოლის კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა, რაც გულისხმობს პირის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქორწინების იძულების მიზნით შეტყუების დასჯადობას.[128]

2023 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზა ისე მოეწყოს, რომ ხელისუფლება უფლებამოსილი იყოს ოჯახში ძალადობის საქმეებზე საკუთარი

---

[121] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 7; იხ. https://shorturl.at/gijqE; ასევე, ევროპის საბჭო - GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში; 2022, გვ. 8 იხ. https://shorturl.at/ezLRZ

[122] UN WOMEN. (2020). VIOLENCE AGAINST WOMEN IN GEORGIA, p3; იხ. https://shorturl.at/hHOT4

[123] UN Women; Innovation and Prevention of Violence Against Women, practuce brief, 2023, იხ. https://shorturl.at/djyzY

[124] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები, 2023, გვ. 8; იხ. https://www.hrc.ge/572/geo/

[125] UN Women; Innovation and Prevention of Violence Against Women, practuce brief, 2023, იხ. https://shorturl.at/djyzY

[126] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები, 2023, გვ. 12; იხ. https://www.hrc.ge/572/geo/

[127] რადიო „თავისუფლება“ - როგორ მოკლეს აითაჯი - 14 წლის გოგო დმანისიდან (ბოლო ნახვა: 21.12.2023), იხ. https://shorturl.at/fnrQ1

[128] ევროპის საბჭო; GREVIO-ს შეფასების ანგარიში; 2022, გვ. 63 იხ. https://shorturl.at/tVZ14

ინიციატივით გამოიძიოს დანაშაული და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაში ხელი არც მსხვერპლის მიერ საჩივრის უკან გამოტანის შემთხვევაში შეეშალოს.[129]

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რიგ შემთხვევებში არსებობს სასამართლოს მხრიდან რისკების სათანადოდ შეფასების პრობლემა მაშინ, როცა სასამართლო მოძალადესთან მიმართებაში პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებას იყენებს. ამ გზით, ბრალდებულს შესაძლოა მსხვერპლთან მიმართებაში კიდევ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა მიეცეს.[130] ეს კი სახიფათო ტენდენციას წარმოადგენს.[131] ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა დაუჭიროს მხარი მსხვერპლს რეაბილიტაციაში, რაც გამოიხატება მსხვერპლისთვის ფსიქოლოგიური, მატერიალური და სოციალური დახმარების უზრუნველყოფაში.[132]

- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს აქვს ბავშვთა უფლებების დასაცავად საჭირო კომპლექსური კანონმდებლობა. ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ ხელშემკვრელი მხარეა, რომლის თანახმად, სახელმწიფოებმა ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები უნდა გაატარონ ბავშვთა მშობლებისგან, კანონიერი მეურვეებისგან ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის, შეურაცხყოფისა და ბოროტმოქმედებისაგან დასაცავად[133]. საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციას და მიზნად ისახავს ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას.[134] ასევე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაა ლანსაროტის კონვენცია, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვას.[135] მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა აკრძალულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით, პრაქტიკაში ის მაინც ერთ-ერთი გავრცელებული გამოწვევაა.

ბავშვთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა ხშირად სწორედ ოჯახში ან სკოლაში ხორციელდება. მდგომარეობას ამძაფრებს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ასევე, ძალადობის შედეგად განვითარებულ არასრულწლოვანთა პოსტ-ტრავმული სტრესისადმი საზოგადოების მოუმზადებლობა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებული არასრულწლოვანთა საქმეების ანალიზისას გამოვლინდა მართლმსაჯულების პრობლემური საკითხებიც, მაგალითად, არასრულწლოვან მოწმეთა გამოკითხვისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო გარემოს შერჩევისა თუ

---

[129] Gaidukevich v. Georgia, no. 38650/18, § 62,71, 15 June 2023; იხ. https://shorturl.at/hqyCE

[130] საქართველოს სახალხო დამცველი - „2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი“, 2023. გვ. 30. იხ. https://shorturl.at/demtw

[131] ადამიანის უფლებათა ცენტრი ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოებისას მართლმსაჯულების ხარვეზების თაობაზე, 13.09.2022 (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. http://www.hrc.ge/424/geo/

[132] Council of Europe Committee of Ministers - Recommendation Rec(2006) 8[1] of the Committee of Ministers to member states on assistance to crime victims;14 June 2006; para 1.3; 3.; იხ. https://shorturl.at/ntzQ7

[133] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ მ. 19 (1)

[134] საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 1 (1), (2)

[135] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება; „ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“; მ. 10

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მექანიზმების ნაკლებ პრიორიტეტულად გამოყენებასთან მიმართებაში.[136]

2023 წლის გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის თანახმად, ქართველ ბავშვთა 37.8% მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონედ ითვლება.[137] რიგ შემთხვევებში, ფინანსური პრობლემების გამო, ოჯახს მოძალადესთან ცხოვრებაც უწევს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სოციალური სამსახური უნდა ახდენდეს შესაბამის რეაგირებას, პრაქტიკაში, რიგ შემთხვევებში სოციალური მუშაკების არაკვალიფიციურობაც იკვეთება.[138]

ევროკომისიის 2023 წლის შეფასებით, კვლავ პრობლემად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ფიზიკური დასჯის მეთოდების არსებობა. ხოლო, სწრაფი და ეფექტური გამოძიება გამოწვევას წარმოადგენს.[139]

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეში, დამრიგებელმა 7 წლის ბავშვს, ფიზიკური დასჯის მიზნით, კლასის წინაშე გააწნა სილა, ხოლო პედაგოგი, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყო, მხოლოდ დამრიგებლის პოზიციიდან გათავისუფლეს, რაც იმას გულისხმობს, რომ მან კვლავ გააგრძელა პედაგოგიური საქმიანობა იმავე კლასში. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია.[140] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ზუსტი ფორმულირებით იყოს აკრძალული, მათ შორის, მასწავლებელთა ქცევის კოდექსებში, ბავშვთა მიმართ ფიზიკური თუ სხვა სახის დამამცირებელი სასჯელების გამოყენება, რათა ბავშვისთვის „გარტყმა“ ისეთივე უკანონობად იყოს მიჩნეული, როგორც ეს ზრდასრულთა შემთხვევაში იქნებოდა.[141]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ყველა ფორმის ძალადობა, მათ შორის, მსუბუქი ფორმით გამოხატული, სრულიად დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული[142]. ამიტომ, საჭიროა პედაგოგების გადამზადება, ხოლო ძალადობაში შემჩნეული პედაგოგების შემთხვევაში, მათი მონიტორინგიც. შესაბამისმა უწყებებმა ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყონ ძალადობის შემთხვევების შესწავლა, რეაგირება და მონიტორინგი, ხოლო მეორე მხრივ, იზრუნონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, მათ შორის, ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების მიზნით, წამახალისებელი ღონისძიებების გატარების გზით.[143]

---

[136] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე; არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები; 2023; გვ. 13; იხ. https://www.hrc.ge/532/geo/

[137] „საქსტატი“, გაეროს ბავშვთა ფონდი; მატერიალური და სოციალური დანაკლისი; 2023; იხ. https://shorturl.at/iyAIZ

[138] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე; არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები; 2023; გვ. 7, 17; იხ. https://www.hrc.ge/532/geo/

[139] European Commission; Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 39; იხ. https://shorturl.at/gijqE

[140] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე - არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები, 2023, გვ. 10; იხ. https://www.hrc.ge/532/geo/

[141] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #8 (2006) - „ბავშვის უფლება დაცული იყოს ფიზიკური დასჯისა და სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელებისგან“. ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდი - ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა; 2017; გვ 71. იხ. https://shorturl.at/aefPR

[142] F.O. v. Croatia - 29555/13; (ECtHR) Judgment 22.4.2021 [Section I]; იხ. https://shorturl.at/bknuS

[143] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნინო ჩალაძე - არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები, 2023, გვ. 23; იხ. https://www.hrc.ge/532/geo/

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

მისასალმებელია საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წლის თებერვალში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება.[144] შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს ევალება განახორციელოს რეფორმები შშმ პირის სტატუსის მინიჭების სისტემაში. ამ მიზნით, საქართველოში დაწყებულია ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც ბიოფსიქოსოციალური შეფასების მოდელის განვითარებას გულისხმობს და ის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან კონსულტაციებით არის შემუშავებული.[145]

ევროკომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2022 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართველოში 125 467 შშმ პირია, მაგრამ რეალური რიცხვი ბევრად მაღალია და სავარაუდოდ, 558 000 შშმ პირს შეადგენს. შშმ პირის სტატუსის მინიჭებისას მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა 2023 წელს სამედიცინო შეფასების მოდელიდან ბიოფსიქოსოციალური შეფასების მოდელზე გადავიდეს.[146]

2023 წელს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლები უწყვეტი პროტესტის ფონზე ითხოვდნენ ბიუჯეტიდან შვილების სამკურნალო მედიკამენტისთვის საჭირო თანხების გამოყოფას.[147] საპროტესტო აქციამდე, მშობლები რამდენიმე თვის განმავლობაში ითხოვდნენ ჯანდაცვის სამინისტროსგან ამ პრეპარატის შეძენას.[148] პროტესტის შემდეგ, მთავრობამ აქონდროპლაზია იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამაში დაამატა, ხოლო ჯანდაცვის მინისტრმა აქონდროპლაზიის ეროვნული პროტოკოლის ძალაში შესვლას მოაწერა ხელი.[149]

შშმ პირები კვლავ აწყდებიან წინაღობებს შენობებში, ტრანსპორტსა თუ სერვისებზე წვდომის კონტექსტში.[150] **საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, შშმ პირთა უფლებების დასაცავად ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ პირთათვის** ინკლუზიური განათლების ხარისხისა და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა. პრობლემურია, რომ სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ არიან შშმ პირები ჩართულნი. ასევე, პრობლემურია, რომ ხელისუფლებას ჯერ

---

[144] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი; საჯარო ინფორმაცია (ბოლო ნახვა: 22.12.2023);იხ. https://shorturl.at/enEG3

[145] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაცია (ბოლო ნახვა: 22.12.2023); https://shorturl.at/ivKL1

[146] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ.40; იხ. https://shorturl.at/gijqE

[147] ადამიანის უფლებათა ცენტრი აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების სამკურნალო პრეპარატის შესყიდვის საჭიროების თაობაზე, 02.05.2023 (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/496/geo/

[148] რადიო „თავისუფლება“ - „დაუფინანსეთ წამალი ბავშვებს“, 21.04.2023 (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/dtCIK

[149] formulanews.ge - აქონდროპლაზიის ეროვნული პროტოკოლი ძალაში შევიდა, 03.08.2023 (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/wJMQ8

[150] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023, გვ. 39; იხ. https://shorturl.at/gijqE

კიდევ არ დაუმტკიცებია სტანდარტები შშმ პირთა ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებსა თუ მობილურ აპლიკაციებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.[151]

- რელიგიის თავისუფლება

რელიგიური უმცირესობები რიგი გამოწვევების წინაშე დგანან. მათ არ გააჩნიათ სალოცავების რესტავრაციისთვის საჭირო თანხები. რიგ შემთხვევებში არაეფექტურად წარიმართება რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები. ასევე, მაგალითად, ბათუმში შეინიშნება ზეწოლა საჯარო სკოლების რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებზე. ამ ყოველივეს ემატება, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო არ არის საზოგადოების ნდობით აღჭურვილი ორგანო.[152] მისი მანდატი პრობლემური და ბუნდოვანია, რადგან სააგენტომ 2015 წელს გამოქვეყნებული რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიაში რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობის ნაცვლად, მიზნად რელიგიურ ორგანიზაციებზე კონტროლის მექანიზმების გაძლიერება დაისახა.[153]

ევროკომისიის შეფასებით, საქართველოში შეინიშნება რელიგიური თანასწორუფლებიანობის ნაკლებობა, კერძოდ - მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობს არათანაბარი პრივილეგიებით, ერთი მხრივ, სახელმწიფო ქონების ფლობის, შეძენისა და გადასახადების გადახდაზე დაწესებული შეღავათების თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, 2023 წლის 11 ივლისს თავდაცვის კოდექსში მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთათვის სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების პირობის შემოღებით, მაშინ, როცა მსგავსი პრივილეგიებით არ სარგებლობენ სხვა აღმსარებლობის მქონე პირები.[154]

- ეროვნული უმცირესობები

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან, განსაკუთრებით პრობლემურია მათი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ბილინგვური სწავლების მოდელის დანერგვა, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავებასთან ერთად პრობლემას წარმოადგენს ორენოვანი პედაგოგების მომზადება/გადამზადებაც[155]. უმცირესობის წარმომადგენლებმა არ იციან სახელმწიფო ენა და სხვა ქართველ მოსწავლეებთან შედარებით, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაში დაბალი ქულები აქვთ, რაც საგანმანათლებლო უთანასწორობაზე მიუთითებს.

---

[151] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; 10.12.2023; (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/gAT19

[152] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 33; იხ. https://shorturl.at/gijqE

[153] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი - რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023, გვ. 10; იხ. https://shorturl.at/uDEZ8

[154] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023, გვ. 41; იხ. https://shorturl.at/gijqE ; ასევე - ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი; რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023, გვ. 16; იხ. https://shorturl.at/uDEZ8

[155] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 10.12.2023 (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/gAT19

შეზღუდულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საჯარო მმართველობაში. სტატისტიკურად ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს პარლამენტის 6 დეპუტატი. მუნიციპალურ დონეზე, ზოგიერთ საკრებულოში ეთნიკური უმცირესობა უმრავლესობის სახითაც არის წარმოდგენილი. მაგალითად, ახალქალაქში 42-დან 35 და ნინოწმინდაში 30-დან 29 პირი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია.[156] გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კულტურის ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა თუ სახლების აღდგენა. თითქმის არ ხდება ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციაც.[157] ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.[158]

2023 წლის 16 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვლავ პრობლემად რჩება ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის საკითხი.[159]

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2018 წლის 30 სექტემბერს სასტიკად მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის უფლებამონაცვლის ინტერესებს იცავს. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს არაერთი მტკიცებულება, რაც მკვლელობის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე მიუთითებს, მოსამართლის შეფასებით, ბრალდებულთა რელიგიური მრწამსი და შეხედულებები არ წარმოადგენდა სასამართლო განხილვის საგანს. სახელმწიფო ბრალდების მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება თავდამსხმელების ანტისემიტური და ქსენოფობიური ენა და იდეოლოგიური კუთვნილება ნეონაცისტურ ჯგუფებთან. ასევე, მსხვერპლის მიერ თავისი ეთნიკური იდენტობის გაზიარება დამნაშავეთათვის გახდა განსაკუთრებული სისასტიკით, არაერთი ჭრილობის მიყენებისა და დანაშაულის ჩადენის მიზეზი. ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოძიების ან სასჯელის დაკისრების დროს დისკრიმინაციული მოტივის უგულებელყოფა შესაძლოა, არაპირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენდეს. ამიტომ სასამართლოს მიერ საქმის სწორი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, საქმეზე სამართლიანობის მისაღწევად, ხოლო, მეორე მხრივ, სიძულვილით მოტივირებული მსგავსი დანაშაულების პრევენციისთვისა და სასამართლოს მიერ სწორი პრაქტიკის განვითარებისთვის.[160]

მისასალმებელია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიასა და თანმხლებ სამოქმედო გეგმაში უმცირესობების, კერძოდ, ბოშების

---

[156] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 40; იხ. https://shorturl.at/gijqE

[157] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; 10.12.2023; (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/gAT19

[158] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 11(2)

[159] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი - რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023, გვ. 25; იხ. https://shorturl.at/uDEZ8

[160] ადამიანის უფლებათა ცენტრი - უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება, 2019, გვ 1-2, 10,12, 14; იხ. https://shorturl.at/btJY4
ასევე - Angelova and Iliev v. Bulgaria, no. 55523/00, § 107, 26 July 2007იხ. https://shorturl.at/mnzEF

გათვალისწინება, მათი კულტურული იდენტობის მხარდაჭერისა და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, რადგან ბოშები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მეტად დისკრიმინირებულ ეთნიკურ ჯგუფს. მათ შეზღუდული აქვთ წვდომა საცხოვრებელ და სამთავრობო სერვისებზე, ხოლო ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბოშები, სამწუხაროდ, ძირითადად ბავშვები არიან.[161]

- ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებები

ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა არც 2023 წელს გაუმჯობესებულა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, თემის წარმომადგენლები კვლავ იყვნენ დისკრიმინაციის, ძალადობისა და სტიგმის მსხვერპლნი, რადგან შესაბამისი ნაბიჯები არ გადადგმულა არსებული კანონმდებლობის აღსრულებისა და დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით.

2023 წლის 23 მარტს პარლამენტმა 2022-2030 წლებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიაში მოცულია თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვის პუნქტი და ცალკე ქვეთავებად არის გამოყოფილი სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებები, ლგბტქი+ პირთა უფლებები მასში ნახსენებიც არ არის. ამ ჯგუფის უგულებელყოფა და მათი უფლებების სტრატეგიიდან გაქრობა გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათი თქმით, ხელისუფლებას არ სურს პოლიტიკურ დონეზე აღიაროს ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა.[162]

2023 წლის 8 ივლისს ლისის ტბის მიმდებარედ იგეგმებოდა პრაიდ ფესტივალის გამართვა დახურული ღონისძიების ფორმატში. 7 ივლისს შსს-მ დაანონსებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება, რომ პოლიციის შესაბამისი დანაყოფები ამ ღონისძიებაზე დაიცავდნენ მართლწესრიგს და უსაფრთხოებას. თუმცა, 8 ივლისს სიძულვილის ჯგუფებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს და მიმდებარე ტერიტორია დაარბიეს.[163] ქმედებებს წინ უძღოდა სხვადასხვა ჯგუფების მიერ კონტრდემონსტრაციის დაანონსება და სოციალური ქსელების მეშვეობით კონტრდემონსტრაციაზე წასვლისკენ მოწოდება. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ვერ შესრულდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - დაეცვა ფესტივალის მონაწილეები კონტრდემონსტრანტების აგრესიული ქმედებებისაგან.[164]

ევროკომისიის შეფასებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში ლგბტ+ პირების გათვალისწინება, მათი გამოხატვისა და შეკრებების თავისუფლების დაცვა. დაუშვებელია, პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ სიძულვილის ენის

---

[161] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023, გვ. 40; იხ. https://shorturl.at/gijqE

[162] „პლატფორმა „არა-ფობიას!“ ეხმაურება ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“, 17.05.2023 (ბოლო ნახვა 22.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/501/geo/

[163] სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება - შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებელ პოლიტიკას ატარებს, 08.07.2023 (ბოლო ნახვა: 22.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/526/geo/; ასევე, რადიო თავისუფლება - „პრაიდის“ ფესტივალის დარბევის შედეგად სავარაუდო ზარალი... 09.07.2023 (ბოლო ნახვა: 22.12.2023); იხ. https://shorturl.at/iwRT6

[164] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ, 2023, გვ.13; იხ. https://www.hrc.ge/554/geo/

გამოყენება, რადგან ეს საზოგადოებაში ლგბტ+ პირების მიმართ დისკრიმინაციულ განწყობებს აძლიერებს. ასეთივე ეფექტი აქვს, 2022 წელს სავარაუდო სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების ეფექტური და დროული გამოძიებისგან თავის შეკავებას. რაც შეეხება, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მისასალმებელია, რომ 2023 წლის 1 სექტემბერს მთავრობის ადმინისტრაციაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი და გაიმართა კონსულტაციები სამოქალაქო ორგანიზაციებთან, მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ საკონსულტაციო პროცესი იყოს ინკლუზიური და მოიცვას საერთაშორისო პარტნიორებიც.[165]

- იძულებით გადაადგილებული პირები

უკვე წლებია, რაც ოკუპაციის შედეგებთან გამკლავება უწევთ საქართველოში მცხოვრებ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილ მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს მრავალწლიანი განსახლების პროცესი და ამ მიმართულებით შემუშავებულია გაუმჯობესებული პროცედურები, სახალხო დამცველის შეფასებით, არსებობს ხარვეზებიც, მათ შორის - განსახლების თაობაზე მიღებული უარის დაუსაბუთებლობა და გადაცემული განსახლების ობიექტების ავარიული მდგომარეობა.[166]

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის კონტექსტში, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ცენტრის 2023 წლის წარმატებული საქმეები. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განჩინების თანახმად, სრულად დაკმაყოფილდა ცხინვალიდან დევნილი ე. ზ.-ს სარჩელი, ხოლო ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს ადმინისტრაციული აქტი მისთვის საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2023 წლის 9 მარტის განჩინებით, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.[167]

საქართველოში დაახლოებით 92 000 დევნილი ოჯახია. მნიშვნელოვანია, რომ მათ რესურსები მიეწოდოთ არამხოლოდ დევნილის სტატუსის გამო, არამედ მათი საჭიროებების გათვალისწინებითაც. საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილებების მიხედვით, „დევნილი პირები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრამდე იქნებიან არასრულწლოვნები, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისას გათვალისწინებული იქნებიან მათი აღმავალი შტოს ოჯახის წევრებთან ერთად და მომავალში აღარ ექნებათ ინდივიდუალურად საცხოვრებლის მოთხოვნის უფლება. 2023 წლის პირველი იანვრის შემდეგ დაბადებული ის პირები, რომელთა ორივე მშობელი გარდაიცვალა

[165] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 40; იხ. https://shorturl.at/gijqE

[166] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 10.12.2023 (ბოლო ნახვა: 21.12.2023); იხ. https://shorturl.at/gAT19

[167] ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები (2022 წ. ნოემბერი, დეკემბერი - 2023 წ. იანვარი, თებერვალი) https://shorturl.at/ovKQ4

უზრუნველყოფილი იქნებიან ისეთივე საცხოვრებლით, როგორიც უნდა მიეღოთ მათ მშობლებს“[168] ეს ცვლილებები ევროკომისამ დადებითად შეაფასა.[169]

- უსახლკარო პირები

კვლავ პრობლემად რჩება უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტების არარსებობა. საქართველოს ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე დათქმა აქვს გაკეთებული, შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულება უსახლკარობის შემცირების, უსახსრო პირთათვის საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტების და საცხოვრებლის ფასების ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოზე არ ვრცელდება. სათანადო საცხოვრებელზე უფლება უფრო ვრცელია, ვიდრე უფლება საკუთრებაზე და ის უსაფრთხო ადგილას ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფასაც მოიცავს.[170] საქართველოს კანონმდებლობაში არსებული დეფინიცია ორიენტირებულია პირის საცხოვრებლის ფიზიკურ განზომილებაზე, შესაბამისად, ის არ მოიცავს სათანადო საცხოვრებლის უფლებას სოციალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.[171] შედეგად, სათანადო საცხოვრებლის უფლების განხილვის დროს, არ არიან გათვალისწინებულნი: დროებით ახლობლებს შეფარებული პირები, პენიტენციური დაწესებულებებიდან ან ბავშვთა სახლებიდან გამოსვლის მოლოდინში და განსახლების საფრთხის ქვეშ მყოფი პირები.[172]

მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, უსახლკარო პირის ცნების განმარტება უფრო ვრცელი სახით ჩამოყალიბდეს და საკანონმდებლო დონეზე მოიცვას საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პრინციპები, ხოლო, მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციაში შეიმუშაონ უსახლკარო პირთა იდენტიფიცირების, რეგისტრაციისა და სტატისტიკური აღრიცხვის მექანიზმები ისევე, როგორც უსახლკაროთა გრძელვადიან პერსპექტივაში განსახლებისკენ მიმართული პროგრამები.[173]

- ხანდაზმული პირები

წინა წლების მსგავსად, 2023 წლის განმავლობაშიც გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები ხანდაზმულთა სოციალური დაცვის კონტექსტში. სამწუხაროდ, ხანდაზმულთა 36%-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული, მაგრამ არ არსებობს აღსრულებადი სამოქმედო გეგმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად და არც შესაბამისი ღონისძიებები ტარდება ხანდაზმულთა ღირსეული დაბერების გარანტიების შესაქმნელად.[174] აღსანიშნავია, სახელმწიფოს მიერ შერჩეულ საბანკო დაწესებულებში მავნე პრაქტიკის

---

[168]საქართველოს პარლამენტი - დევნილი პირების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ კანონპროექტს 80-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი; 14.12.2022; (ბოლო ნახვა: 23.12.2023); იხ. https://shorturl.at/sBPRY

[169] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 41; იხ. https://shorturl.at/gijqE

[170] OHCHR, The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev.1, 2014, გვ.8; იხ. https://shorturl.at/eAPV8

[171] სოციალური სამართლიანობის ცენტრი - უსახლკარო პირის ცნება და უსახლკაროდ მიჩნევის კრიტერიუმები, 2020, გვ. 12 (ბოლო ნახვა: 23.12.2023წ.); იხ. https://shorturl.at/qvFK9

[172] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 244 (ბოლო ნახვა 23.12.2023); იხ. https://shorturl.at/eyBK9

[173] კოალიცია თანასწორობისთვის - უსახლკარო პირები, 2023, გვ. 148-160; იხ. https://shorturl.at/cpGSU

[174] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 244; (ბოლო ნახვა 23.12.2023); იხ. https://shorturl.at/eyBK9

შენარჩუნება, რომელიც პენსიის თვითნებურ დაკავებასა თუ დაქვითვაში გამოიხატება. შედეგად, პენსიონერებს კუთვნილი თანხის მისაღებად სასამართლოში დავა უწევთ.[175]

საქართველოს სახალხო დამცველის წინა წლის ანგარიშის თანახმად, ხშირია ხანდაზმულთა დაწესებულებებში სხვადასხვა დარღვევები, ასევე - ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევები. ამიტომ მნიშვნელოვანია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა უზრუნველყოს ხანდაზმულთა დაწესებულებების ზედამხედველობა. ასევე, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა შეაფასონ ხანდაზმულთა საჭიროებები, რათა მათთვის შესაბამისი პროგრამების შემუშავების მიზნით მოხდეს სახსრების მოძიება.[176]

9. პენიტენციური დაწესებულებები

წინა წლების მსგავსად **კვლავ პრობლემად რჩება პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის არსებობა.** ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებთან კომუნიკაციისას, პატიმრები ციხეში არსებულ არაფორმალურ მმართველობაზე ხშირად მიუთითებენ.[177]

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებობს არაერთი პრობლემა.[178]

ევროკომისიის შეფასებით, მნიშვნელოვანია საქართველო ორიენტირებული იყოს პატიმართა ოდენობის შემცირებაზე, რადგან ქვეყანა დაპატიმრების მაჩვენებლით ევროპის ხუთეულში რჩება (100 000-ზე მაჩვენებელი - 265). თუმცა, ტევადობის თვალსაზრისით, დაკავებულთა რაოდენობა მაქსიმალურ შესაძლო დაკავებულთა ოდენობასთან მიმართებაში 82%-ს შეადგენს (ტევადობა - 11 656; პატიმარი - 9 542). აქვე აღსანიშნავია, რომ არ იკვეთება დაკავების ცენტრებში, სპეციალური სასჯელაღსრულების სამსახურის მიერ მართული წინასწარი პატიმრობის/ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუარესება.[179]

---

[175] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უერთდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, 10.12.2023 (ბოლო ნახვა 23.12.2023); იხ. https://shorturl.at/dgrI6

[176] საქართველოს სახალხო დამცველი „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022, გვ. 279-283; იხ. https://shorturl.at/jlAHQ

[177] ადამიანის უფლებათა ცენტრის 2022 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში (2022); გვ. 35; იხ. https://shorturl.at/isHX0

[178] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; ombudsman.ge; 10.12.2023; (ბოლო ნახვა: 12.12.2023); იხ. https://shorturl.at/ftAD7

[179] European Commission; Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 32; იხ. https://shorturl.at/gijqE

10. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეები

- მიხეილ სააკაშვილის საქმე

საქართველოს მესამე პრეზიდენტი 2021 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ პატიმრობაშია.[180] 2023 წლის განმავლობაში საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სამი საქმე განიხილებოდა: 7 ნოემბრის აქციის დარბევის, საბიუჯეტო ქონების გაფლანგვის და საზღვრის კვეთის საქმე. აღსანიშნავია, რომ პროცესები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადაიდო ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. 2023 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ყოფილი პრეზიდენტის სასჯელისგან გათავისუფლების, ან სასჯელის გადადების თაობაზე შუამდგომლობა. 2023 წლის 2 მარტს საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.[181]

საქმის განხილვა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა ე.წ. „პიჯაკების საქმეზე“, სადაც მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის სამსახურის ყოფილ უფროსს- თემურ ჯანაშიას სსკ-ის 182-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით ჯგუფურად გაფლანგვისთვის აქვთ ბრალი წარდგენილი.[182] 2023 წლის 20 ნოემბერს საქალაქო სასამართლოში დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესი მიმდინარეობდა.[183]

მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეს მისი სირთულიდან გამომდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა განიხილავს. საქმეში გაერთიანებულია 2007 წლის 7 ნოემბრის მომიტინგეთა მასობრივი დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდებში წარდგენილი ბრალდებები. საქმის განხილვა მტკიცებულებათა განხილვის ეტაპზეა და ის რამდენჯერმე გადაიდო ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო.[184] 20 დეკემბერს სააკაშვილის ადვოკატის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ამ საქმესთან დაკავშირებით მოწმეთა დაკითხვამ საქმის პოლიტიკურად წარმოების მოტივი დაადასტურა.[185]

---

[180] რადიო „თავისუფლება“ - სააკაშვილმა სასამართლოდან ხალხს მიმართა: ჩვენ ერთმანეთთან დაქორწინება არ გვჭირდება, 27.10.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/iyC59

[181] ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 27 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება; 21.04.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/495/geo/

[182] იქვე.

[183] ინტერპრესნიუსი - დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს - სხდომას ყოფილი პრეზიდენტი დისტანციურად ესწრება; 20.11.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/akswV

[184] ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 27 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება; 21.04.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/495/geo/

[185] ინტერპრესნიუსის ინფორმაცია, 20.12.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/mCG39

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ე.წ. საზღვრის კვეთის საქმეს, სადაც მას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით აქვს წარდგენილი, პროკურატურის განცხადებით, გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა ქვეყნის საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. საქმე განხილვის ეტაპზეა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მხარეთა მტკიცებულებები სრულად არის გამოკვლეული, მაგრამ ბრალდებულმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო ჩვენების მიცემა.[186]

2023 წლის აპრილში სააკაშვილის ადვოკატებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დროებითი ღონისძიების მექანიზმის გამოყენების მოთხოვნის თაობაზე იმ არგუმენტით, რომ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებები არ გამოდგება სააკაშვილის სამკურნალოდ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2023 წლის 11 მაისს მიღებული გადაწყვეტილებით, სააკაშვილს უარი ეთქვა ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანაზე და, შესაბამისად, არც საქართველოს ხელისუფლებას დაევალა ყოფილი პრეზიდენტის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანა. ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას აქვს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, დაიცვას ყველა დაკავებულის ჯანმრთელობა, უზრუნველყოს ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა და პატივი სცეს ფუნდამენტურ უფლებებს.[187]

- ნიკა გვარამიას საქმე

2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიას ტვ „რუსთავი 2-ის“ ხელმძღვანელობის დროს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე 3 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.[188] პატიმრობის ვადა არც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა. უზენაესმა სასამართლომ კი საქმე განსახილველადაც არ მიიღო. ბრალდების შინაარსთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა აშშ-ის ელჩმა საქართველოში.[189] საელჩოს განცხადებაში განმარტებული იყო, რომ დემოკრატია მედიის თავისუფლების დაცვაზეა დაფუძნებული, ხოლო მართლმსაჯულების შერჩევითი და პოლიტიზებული აღქმა სწორედ დემოკრატიას უთხრის ძირს.[190]

2023 წლის 21 ივნისს ევროკომისიამ აქცენტი გააკეთა მედიასაშუალებების მფლობელების უფლებების დაცვის დონის ამაღლებაზე. 22 ივნისს კი, საქართველოს პრეზიდენტმა ნიკა გვარამიას შეწყალების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მისი განმარტებით, გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 19 ივნისს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეროვნულ დონეზე ყველა სამართლებრივი საშუალება ამოიწურა.[191] საქართველოს პრეზიდენტის მიერ

---

[186] ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 27 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება; 21.04.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/495/geo/

[187] European Commission; Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 32; იხ. https://shorturl.at/gijqE

[188] ადამიანის უფლებათა ცენტრი - სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში); 2023; გვ.12; იხ. https://shorturl.at/aqFM3

[189] აშშ-ის საელჩოს განცხადება ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების შესახებ, 20.06.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/ijkPU

[190] Netgazeti - „მართლმსაჯულების პოლიტიზებულად აღქმაც კი რისკის ქვეშ აყენებს ევროპულ მომავალს“ - აშშ-ის საელჩო გვარამიაზე; იხ. https://shorturl.at/cHOTZ

[191] რადიო „თავისუფლება“ - პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა; 22.06.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/bloCV

შეწყალების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საერთაშორისო პარტნიორების მოწონება დაიმსახურა, რადგან ის შეფასდა, ერთი მხრივ, ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გზად, ხოლო, მეორე მხრივ, პოლარიზაციის შემცირების საშუალებად.[192]

პრეზიდენტის შეწყალების შემდეგ, ოპოზიციური ტელევიზიის დირექტორი იმავე დღეს განთავისუფლდა ციხიდან. ამჟამად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მედიასექტორთან ნდობა დაამყაროს და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობა უზრუნველყოს.[193]

- ლაზარე გრიგორიადისის საქმე

წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმე ლაზარე გრიგორიადისს ეხებოდა. 21 წლის ლაზარე გრიგორიადისი პოლიციამ 2023 წლის 29 მარტს დააკავა ე.წ. „აგენტების“ შესახებ კანონის საწინააღმდეგო აქციების დროს პოლიციელზე თავდასხმისა და სხვისი ქონების განადგურების ბრალდებით.[194]

პროკურატურის განცხადებით, 7 მარტს ბრალდებულმა ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით და ცეცხლი წაუკიდა შსს-ს კუთვნილ ავტომანქანას. შესაბამისად, ლაზარეს ბრალი 30 მარტს წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით, რაც გულისხმობს ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის განადგურებასა და პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფას მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის მიღების შემთხვევაში, ბრალდებულს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.[195] ლაზარე გრიგორიადისის დაკავებას მოჰყვა კრიტიკული განცხადებები და საპროტესტო აქციები, სადაც 2-ჯერ დააკავეს ლაზარეს მამა.[196]

მხოლოდ პროკურატურის მტკიცებულებების გამოსაკვლევად სასამართლოს 9 თვე დასჭირდა, პროცესი ახლაც გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.[197] ყოფილი სახალხო დამცველის განცხადებით, საჯაროდ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ ჩანს, რომ ლაზარემ „მოლოტოვის კოქტეილი“ ისროლა.[198] იგივე პოზიცია აქვს ადამიანის უფლებათა

---

[192] რადიო „თავისუფლება“ - გვარამიას შეწყალება - (არა)საკმარისი ნაბიჯი ევროპისკენ? 23.06.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/BIM28; ასევე - მიშელი მიესალმა ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას და ღარიბაშვილისგან მიღებულ დადასტურებას. 23.06.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/kpDP4

[193] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 11, 34; იხ. https://shorturl.at/gijqE

[194] რადიო „თავისუფლება“ - ვინ არის ლაზარე გრიგორიადისი - „მოლოტივის კოქტეილის“ სროლის ბრალდებით დაკავებული; 30.03.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/dvHW3

[195] formulanews.ge - ლაზარე გრიგორიადისის საქმე - ხელისუფლების შურისძიება, 31.03.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/bqFRT

[196] რადიო „თავისუფლება“ - პარლამენტთან აქციაზე ბექა გრიგორიადისი და მისი ძმა დააკავეს, 05.10.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/gBR45

[197] რადიო „თავისუფლება“ - ლაზარე გრიგორიადისის საქმეზე სასამართლო აღარ დაკითხავს ბრალდების 12 მოწმეს, 21.12.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.23); იხ. https://shorturl.at/ctEQZ

[198] ინტერპრესნიუსი - ნინო ლომჯარია - ის, რომ ლაზარემ „მოლოტოვის კოქტეილი“ ისროლა, საჯაროდ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ ჩანს; 02.04.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/rwKLV

ცენტრს. ცენტრის იურისტი 2023 წლის განმავლობაში ლაზარე გრიგორიადისის სამართლებრივ ინტერესებს იცავდა.

ლაზარესთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრებები მისი „სხვადასხვა ნიშნით“ მსხვერპლად შერჩევასთან დაკავშირებითაც, რადგან მმართველი პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ მას „ყველანაირი ორიენტაცია აქვს არეული“ და მას „გზას აცდენილი კაცი“ უწოდა. ასევე, პრემიერ-მინისტრის განცხადებაში აქციებში მონაწილე ახალგაზრდები დახასიათებულნი იყვნენ, როგორც „ექსტრემისტული დაჯგუფება, ანარქისტები, პროვოკატორები, სატანის ფორმიანები“.[199] ასეთი ტიპის განცხადებებმა დამატებით შეუწყო ხელი საზოგადოებაში ლაზარეს მიმართ ნეგატიური განწყობების შექმნას.[200] ბრალდებული ლაზარე გრიგორიადისი წერილში ამბობს, რომ ის პროტესტის დროს ევროპულ კურსს იცავდა.[201]

11. პერსონალური მონაცემების დაცვა

2023 წლის 14 ივნისს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.[202] მიღებული ცვლილებები მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.[203]

2023 წლის 14 ივნისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად: სარეკლამო შეტყობინებები წინასწარი თანხმობის გარეშე აღარ გამოიგზავნება; ნებისმიერი საჯარო დაწესებულება და ასევე კერძო კომპანიათა ნაწილი ვალდებული იქნება ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი; განისაზღვრება საჯარო ან კერძო სივრცეში აუდიოჩაწერის წესი და პირობები; დაზუსტდა საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების საშუალებით ჩანაწერის განხროციელების წესი; განისაზღვრა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები; დადგინდა მონაცემების უსაფრთხოების დარღვევისას ინსპექტორისათვის შეტყობინების ვალდებულება; გაიზარდა მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და იმ პირის უფლებები, ვისი მონაცემებიც მუშავდება.[204]

---

[199] რადიო თავისუფლება - რატომ არის ლაზარე „იდეალური დამნაშავე“, 31.03.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/uA047

[200] ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესკონფერენცია, 26.06.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/517/geo/

[201] რადიო თავისუფლება - ლაზარე გრიგორიადისის საქმეზე სასამართლო აღარ დაკითხავს ბრალდების 12 მოწმეს, 21.12.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/eqA38

[202] საქართველოს პარლამენტი -„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/zBCW3

[203] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 32; იხ. https://shorturl.at/gijqE

[204] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო - 8 სიახლე, რასაც პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებს, 05.07.2023 (ბოლო ნახვა: 26.12.2023); იხ. https://shorturl.at/coDQ7

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონი არსებითად ცვლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მომწესრიგებელ ნორმებს და აფართოებს დამუშავების საფუძვლებს, რითიც ხელს უწყობს საჯაროობის ახალი სტანდარტების დადგენას.[205]

2023 წლის 1-ელი იანვრიდან 1-ელ სექტემბრამდე პერიოდში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვის, გამოყენებისა და გავრცელების ფაქტებზე სისხლის სამართლებრივი დევნა 24 პირის მიმართ დაიწყო, მათგან 14 დააკავეს.[206] თუმცა, არაერთ საქმეზე პრობლემურია პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტებზე შესაბამისი გამოძიების ეფექტურად ჩატარება. მაგალითად, 2021 წლის სექტემბერში დაწყებული გამოძიება პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების და დიპლომატიური საზოგადოების მოსმენისა და უკანონო თვალთვალის საქმეზე, ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულებისა და ეფექტური ინსტიტუციური ზედამხედველობის გაუმჯობესება, რაც სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული არაერთი მოწოდების მიუხედავად, ჯერ არ განხორციელებულა.[207]

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ერთ-ერთი სამინისტროს ბრალეულობა დაადასტურა, რადგან მათი სპეციალური ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა დეტალურ ინფორმაციას აგროვებდა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.[208]

12. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" მიახლოებულია ევროკავშირის სტანდარტებთან.[209] საქართველომ მიაღწია გარკვეულ პროგრესს კორუფციასთან ბრძოლის პროცესში, მაგალითად, ქვეყანაში და

არსდა ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც არაერთ ფუნქციას მოიცავს და, მათ შორის, პარლამენტის წინაშე წარადგენს კორუფციის წინააღმდეგ შესაბამის წინადადებებს.[210] თუმცა, 2023 წლის სექტემბერში პარლამენტის თავმჯდომარემ ვენეციის კომისიის მოსაზრება მოითხოვა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის ანტიკორუფციულ ბიუროსთან დაკავშირებულ დებულებებზე. თავის მხრივ, ვენეციის კომისიის შეფასებით, კანონი არ ითვალისწინებს ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის შესაბამის ხარისხს. ბიუროს

[205] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო - „:პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონი და საჯაროობის სტანდარტები, 19.06.2023 (ბოლო ნახვა: 26.12.2023); იხ. https://shorturl.at/oFZ04
[206] ინტერპრესნიუსის ინფორმაცია, 26.09.2023 (ბოლო ნახვა: 26.12.2023); იხ. https://shorturl.at/ioEJU
[207] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023, გვ. 33, იხ. https://shorturl.at/gijqE
[208] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილება ერთ-ერთი სამინისტროს მიერ თანამშრომლების კომპიუტერული აქტივობების შესახებ მონაცემების დამუშავების კანონიერებასთან დაკავშირებით, 05.04.2023 (ბოლო ნახვა: 26.12.2023); იხ. https://shorturl.at/bceM5
[209] European Commission - Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023, გვ. 5, იხ. https://shorturl.at/gijqE
[210] რადიო თავისუფლება - მთავრობამ ანტიკორუფციული ბიუროს პრეზენტაცია გამართა, 31.03.2023 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/bmIJ7

კომპეტენციები კანონში დამატებით გარანტიებს მოითხოვს, რადგან მას პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ზედამხედველობისა და მაღალი დონის თანამდებობის პირების ქონებრივი და ინტერესების დეკლარაციების მონიტორინგი ევალება.[211]

ევროკომისიის განცხადებით, საქართველოს ჯერჯერობით არ შეუმუშავებია ახალი სახელმწიფო ანტიკორუფციული სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა. დამატებითი ძალისხმევაა საჭირო კორუფციის დასამარცხებლად, რათა აღმოიფხვრას კორუფციული ზეგავლენა პოლიტიკურ, იურიდიულ და ეკონომიკურ სფეროებზე. ამ მიზნების მისაღწევად, მომავალ წელს საქართველომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში მთელი რიგი ნაბიჯები უნდა გადადგას[212]

13. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ

2023 წლის 23 ნოემბერს ევროპარლამენტმა გამოაქვეყნა დოკუმენტი სახელწოდებით „ადამიანის უფლებების დარღვევა ირანში, ნიგერიასა და საქართველოში“. ევროპარლამენტი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას განახორციელოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, გაიყვანოს საოკუპაციო ძალები და გაათავისუფლოს საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქე. ევროპარლამენტმა გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.[213]

საერთაშორისო ორგანიზაცია - Amesty International-მა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნიკა გვარამიას შეწყალებას გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლებისკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი უწოდა. ორგანიზაციამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში გახშირდა მშვიდობიანი პროტესტის ჩაშლის მცდელობები. ამის ერთ-ერთი მაგალითია უფლებადამცველთა დაკავება მშვიდობიანი პროტესტის დროს.[214]

საერთაშორისო და სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედმა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა ერთობლივად გამოხატეს შეშფოთება საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირების თაობაზე. მათი განცხადებით, ბოლო პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გაჩნდა რეგულაციები უცხო ქვეყნიდან მიღებული დაფინანსების გაკონტროლების მიზნით. ასეთი კანონები არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობისა და

[211] ინტერპრესნიუსი - ვენეციის კომისია - არსებული ინსტიტუციური პროექტი არ ითვალისწინებს ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის საკმარის ხარისხს; 19.12.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/tuyGO

[212] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო - საქართველოს შეფერხებული ანტიკორუფციული რეფორმები: შეუსრულებელი რეკომენდაციები სტამბოლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 09.08.2019 (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/houAL

[213] European Parliament; Human rights breaches in Iran, Niger and Georgia; 23.11.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/bhsU1

[214] Amnesty International; Georgia: Pardoning of Nika Gvaramia is ‘a step in right direction’; 23.06.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/uwEGT

გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვას ემსახურება.[215] არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის - Human Rights Watch-მა ხელისუფლებას „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტების უარყოფა მოსთხოვა.[216]

2023 წლის 7 ნოემბერს გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველოში უფლებადამცველთა მდგომარეობის თაობაზე შემუშავებული წინასწარი დაკვირვებები და რეკომენდაციები გამოაქვეყნა. მერი ლავლორის თქმით, ქვეყანაში არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც უფლებადამცველობითი საქმიანობისთვის შესაბამის გარანტიებს შექნიდა, მაგრამ ასეთი კანონის გარეშეც, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, შესაძლებელია სამოქალაქო ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. უფლებადამცველთა უმრავლესობას არ აქვს ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის განცდა. მეტიც, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან იკვეთება უფლებადამცველების მტრებად წარმოჩენის ტენდენცია. ამის მაგალითია ქალაქში გამოკრული პოსტერები, სადაც უმეტესად ქალი უფლებადამცველები არიან გამოსახულნი სათაურით - „ეკლესიის მტრები“. მიუხედავად იმისა, რომ „უცხოური გავლენის აგენტების” საქმიანობის გამჭვირვალეობის შესახებ კანონი არ შესულა ძალაში, ის უარყოფითად აისახა უფლებადამცველებზე, რადგან ინიციატივამ წაახალისა ულტრამემარჯვენე ჯგუფები და საზოგადოებაში გააჩინა შიში, რომ კანონპროექტი სხვა ფორმით იქნება მიღებული. სპეციალური მომხსენებლის აზრით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებზე მომუშავე პირების ინტერესების დაცვა და მათი გაძლიერება.[217]

ევროკომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ გარემო უფრო მტრული ხდება, ხოლო ქვეყანას ჯერჯერობით არ გააჩნია ყოვლისმომცველი სამთავრობო სტრატეგია სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისა და თანამშრომლობის მიმართულებით.[218] ამიტომ, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის გაძლიერება და მისი ეფექტური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.[219]

აშშ-ის საელჩო საქართველოში გამოეხმაურა საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თაობაზე დადებითი რეკომენდაციის გაცემას და განაცხადა, რომ აშშ მჭიდრო თანამშრომლობას გააგრძელებს საქართველოს ევროპული მომავლის მხარდასაჭერად.[220]

---

[215] საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება; საერთაშორისო და სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი უფლებადამცველი ორგანიზაციები მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს, არ მიიღოს კანონი აგენტების შესახებ; 17.02.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/469/geo/

[216] Human Rights Watch; 'Dark Day' for Georgia's Democracy; 08.03.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://shorturl.at/LQVW8

[217] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi - 7 November 2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/fnAOR

[218] European Commission; Georgia 2023 Report; 2023 Communication on EU Enlargement policy; Brussels, 8.11.2023; გვ. 15; იხ. https://shorturl.at/gijqE

[219] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; ევროკომისიის შეფასების მიმოხილვა (12 პრიორიტეტის შესრულება და ახალი დათქმები); 09.11.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/gACW3

[220] აშშ-ს საელჩო საქართველო; გილოცავთ საქართველო; 08.11.2023; (ბოლო ნახვა: 25.12.2023); იხ. https://shorturl.at/erAU0